სწორედ მათ მიერ შემუშავებული გეგმა გახდა ის საფუძველი, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის დღევანდელი მოღვაწეობა ეფუძნება. სამწუხაროდ, უკვე ტრადიციად იქცა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ამგვარ მიდგომას არად დაგიდევნენ. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია მიმდინარე საკითხებზე და მათ პიარ გაფორმებაზე კონცენტრირება. პროგრამული მიდგომის არარსებობას განაპირობებს ის პრინციპებიც, რაზეც პოლიტიკური ძალები არიან აგებული. საქართველოში ძალზედ იშვიათია ისეთი პარტია ან ჯგუფი, რომელიც გამოკვეთილ იდეოლოგიურ საფუძველს ეყრდნობოდა და, რაც მთავარია, ზუსტად ჰქონდა წარმოდგენილი ამ იდეოლოგიის პრაქტიკაში გადატანისათვის აუცილებელ გადაწყვე-

ტილებათა ერთობლიობა. როდესაც ქართველ პოლიტიკოსებს მისაბადი პოლიტიკური მოღვაწის დასახელებას სთხოვენ, ხშირად გაიგონებთ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის სახელს. ტეტჩერის მთავარი ღირსება ის გახლდათ, რომ მან ყოველთვის ზუსტად იცოდა, რისი გაკეთება იყო საჭირო ამ თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად და ჩანაფიქრების განხორციელებას, საზოგადოებრივი აზრის განწყობის მიუხედავად, საოცარი სიჯიუტით ცდილობდა. ასეთმა მიდგომამ ტეტჩერი ბევრჯერ დააყენა პოლიტიკური კრახის საშიშროების წინ, მაგრამ ის ყოველთვის თავისი პრინციპების და შეხედულებების ერთგული რჩებოდა. სწორედ ეს იყო მისი კაბინეტის წარმატების მიზეზი. სამწუხარ-

ოდ, იგივეს თქმა არ შეიძლება ქართველ პოლიტიკურ ლიდერებზე. ამის შედეგია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. დღეს, როდესაც არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვეა დარჩენილი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყანაში რეალური ცვლილების პროცესი დაიწყოს. პოლიტიკური ძალების წინაშე ახლა სხვა ტიპის ამოცანა დგას. მათ მოსახლეობას უნდა უჩვენონ, რომ ზუსტად და მკაფიოდ იცანან, რისი გაკეთება სურთ არჩევნებში წარმატების შემთხვევაში. მათ თავიანთი პრინციპები არა მარტო უნდა მიიტანონ ადამიანებამდე, არამედ უნდა დაარწმუნონ კიდევ ისინი, რომ მათ მიერ შეთავაზებული ნაბიჯები წარმატებულ იქნება. ამომრჩევლების მხარდაჭერის იმედი მათ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ.

„ფისი მნამს...“

D4 გვარდიანა

წლის მიწურულს პარლამენტმა ჩააგდო, თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ ის, რაც არ არსებობს, მისი ჩაგდება როგორ შეიძლება. მეტი სინათლის შეტანის მიზნით, დავიწყეთ თავიდან. საქართველოს პრეზიდენტმა 2002 წლის 1 ოქტომბრამდე, საქართველოს კონსტიტუციის დაცვით, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი, რომლის პარამეტრებიც საერთაშორისო სვალუტო ფონდთან შეთანხმებული არა მარტო არ ყოფილა, არამედ ფონდის ნომბრის მისიამაც არ შეითანხმა და ეს „თავსატყუარა“ 2003 წლის თებერვლის მისიას „დაუტყუარა“.

ყოველივე ამის ფონზე საქართველოს პარლამენტი მთავრობის მოთხოვნით მაინც შეუდ-

გა ფინანსთა სამინისტროს მიერ ორ გვერდზე მოცემული ცხრილის სახით 2003 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების, რომელსაც რატომღაც 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის სახელი შეერქვა (!), განხილვას და ჩაგდებას. ასე და ამგვარად, „კრივის კვადრატზე“ პრეტენზიის მქონე საქართველოს პარლამენტი 2003 წლის ბოლოს აბსურდის თეატრს დაემსგავსა. ნეტა, ვისი და რა „ფიცით ინამეს“ დეპუტატებმა ის, რომ თითქოს 2003 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს იხილავდნენ და შემდეგ ის ჩააგდეს კიდევ?

ჩემი (და არა მარტო ჩემი) აზრით, ის ვის „ფიცსაც“ დღეს დაეჯერება, ეს საქართველოს ეროვნული ბანკია, რომელმაც პრეზიდენტის, პარლამენტისა და, საბოლოო ჯამში, ხალხის წინაშე დადებული „ფიცით“ (პარლამენტი და მტკიცებულებული „ფულად-საკრედიტო პოლიტიკით“)

2002 წელსაც შეინარჩუნა ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი დონე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მთავრობისეული „ფიციც“ შესრულდა, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

2002 წელს დიდი საფრთხე შეექმნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე ადრე დადებული „ფიცის“ რეალიზაციას, თუმცა ჩვენი „კეთილი“ მეზობლების მიერ ინსპირირებულ პრობლემას, პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის მცდელობით, ქვეყნისათვის არასასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

2002 წელს დაიდო კიდევ ერთი, ქვეყნისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი „ფიცი“: საქართველოს პრეზიდენტმა პრალაში განაცხადა საქართველოს ნატო-ში

განწევრიანების სურვილის შესახებ, რაც არა მარტო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და პოლიტიკურ საკითხთა მოგვარების, არამედ დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გაღრმავების აუცილებლობის ვალდებულების აღებასაც ნიშნავს. გულწრფელად მინდა ამ „ფიცის მჯეროდეს“ და „ბოლოთი გაკვირვების“ იმედაც-რუების თუნდაც თეორიული შესაძლებლობა უარვყო.

დადებულ „ბოლოგასაკვირ ფიცთა“ რაოდენობით ხელისუფლებას არც ოპოზიცია ჩამორჩა. ისინი ერთგულებას ხან ერთმანეთს „ეფიცებოდნენ“, ხანაც ხელისუფლებას, თუმცა ამ „ფიცთა“ რეალური „ფასიც“ თვით „ფიცის დამდებთათვის“, რომ არაფერი ვთქვათ ხალხზე, საკმაოდ დაბალია.

ოპოზიციის მხრიდან „ფსევდოფიცის“ დადების კულმინაციამ 2002 წლის მიწურულს მი-

ნიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდის საკითხის დაყენებით მიაღწია: მაშინ, როცა მთავრობამ მოსახლეობისა და პენსიების სახით 250 მილიონ-ლარიანი უპროცენტო და თანაც უვადო სესხი ძალისმიერი წესით „აილო“ და ამასთან ბიუჯეტის შესრულების „ილუზიონისტური“ მეთოდების გამოყენებას აგრძელებს, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა მხოლოდ და მხოლოდ ამ დავალიანების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაზრდის საფუძველი იქნება და, სამწუხაროდ, მეტი არაფერი.

და ბოლოს, ალბერტ შვეიცერის სიტყვების გამოყენებით აღვნიშნავთ: იმისდა მიუხედავად, რომ 2002 წლის შესახებ „ჩემი ცოდნა“ უფრო „პესიმისტურია“, მომავლისადმი (არა მარტო 2003 წლისადმი) „ჩემი რწმენა“ მაინც „ოპტიმისტური“ რჩება.

შამპანურის მხეჯებში არაკლილი მსოფლიო ეკონომიკა

D3 გვარდიანა

ნებისმიერ - სათქმელადაც კი საშინელებაა - ბარში! „აუცილებელია, მომხმარებელი დავარწმუნოთ, რომ შამპანური განსაკუთრებული სასმელია. შამპანური განსაზღვრავს - ვინ ხარ შენ, სად გხედავენ და ვინ გხედავს“, ამბობს „Allied Domecq PLC“-ის ლენის ფილიალის ხელმძღვანელი დევიდ სკოტლენდი, რომელიც შამპანურის ისეთი ბრენდების მფლობელია, როგორცაა „Pirriev Youet“ და „Mumm“.

ქაფიანი ბიზნესის შუშუნის, რომელიც საახალწლოდ საკმაოდ გაპოპულარულია, წარმატებით შეუთავსდა შამპანურის ჯუჯა ბოთლებსაც სადღესასწაულო კომპლექტებში. იგივე მხიარულ-

მა „Venve Clicquot“-მ, რომელსაც აწარმოებს „LVMN Moet Hennessey Louis Vuitton SA“, ბაზარზე გამოიტანა კარგად ნაცნობი ნარინჯისფერი შფეროლობის „ქვრივის“ ოთხბოთლიანი კომპლექტი და ყუთი, რომელიც ხელის ჯადოსნური მოძრაობით ყინულის ვედროდ იქცევა. ერთზეც და მეორეზეც დიდი მოთხოვნილებაა. ასევე მოქმედებს ფრანგული „Remy Co intreal SA“-ის ფილიალი „Piper Hudsicek“. აი, „Pommer“-მ კი ცნობილი დიზაინერი, იტალიელი მაურიციო გალანტეც კი მიიწვია, რათა მან შამპანურის ბოთლები შემოსოს „მინი-ქურთუკებით“, რომლებიც სასმელს ცივად შეინახავენ.

მაგრამ, მაინც ვერ ვიტყვი,

რომ ქაფიანი ბიზნესის ოპტიმისტური შუშუნის მთელ ახალ 2003 წელიწადზე გადმოიფრქვევა. ის მკვეთრად მიიჯნავს ერთმანეთისგან ახალ წელს - როგორც დღესასწაულსა და ახალ წელს - როგორც 2003 წლის ჩვეულებრივ დღეებს. ლეთიური სასმელის ნათელ მომავალს ჩრდილს აყენებს ერაყის ომის პერსპექტივა. შამპანური ვერ უთავსდება სისხლისა და ნავთობის კოქტილს. ტყუილად კი არ შიშობენ შამპანურით საცალო მოვაჭრენი, რომ მათი სადღესასწაულო მოგება შეიძლება არაბეთის ქვიშებში ჩაინრეტოს, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანილი მნიშვნელობით. ჩემმა კოლეგამ „უოლსტრიტ ჯორნალიდან“ საინტე-

რესო რამ შეამჩნია. როგორც ირკვევა, წინასაღღესასწაულო დღეებში შამპანური ყველაზე ნაკლებად ამშხანდება - ვაშინგტონში იყიდებოდა, ვინაიდან ერაყის ომის შესახებ ყველაზე მეტს სწორედ იქ ლაპარაკობენ. „ადამიანები ასეთი საუბრების მიმართ მგრძობიარენი არიან“, - ამბობს პოტომაკზე მდებარე ლენის სავაჭროს - „Calvert and Woody Liqueurs“ - მფლობელი ედ სენდსი.

ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს კი სხვა მდინარის - სენის სანაპიროზე, სხვა დედაქალაქ - პარიზში, ლენის სხვა სავაჭროს მფლობელი მარკ სიბარდი მტკიცედ იმეორებს უკვდავ და უკომპრომისო აფორიზმს:

- ომი - ეს შამპანურისთვის

ძალიან ცუდი რამეა!

მარკი სულაც არ არის მარქსისტი და არ იცის ლენინის აფორიზმი იმის შესახებ, რომ პოლიტიკა - ეს ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატვაა. მაგრამ მას პროფესიონალ ასტროლოგებზე და ფუტუროლოგებზე უკეთ შეუძლია, მომავალი შამპანურის მხეჯებშიც კი განჭვრიტოს. ერთია ანანასები შამპანურში, რისკენაც ჯერ კიდევ „პოეტების მეფე“ იგორ სევერიანინი მოგვიწოდებდა, და სულ სხვაა ლაზერული ბომბები ერაყზე, რისკენაც „ბოროტების მოციქულებთან“ ბრძოლის მეფე ჯორჯ ბუში მოგვიწოდებს. ერთია მხიარული „ქვრივი კლიკო“ და სულ სხვაა - ათასობით ჯარისკაცის მწუხარე ქვრივი.

იპონია: ბრწყინვალეა და ჩრდილები

ამ რამდენიმე ხნის წინ ქართველ მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ცნობილი პოლონელი ეკონომისტის, საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლის, ამჟამად პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნის „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“ ქართულ თარგმანს. მის მთარგმნელს ამჟამად მომზადებული აქვს ამავე ავტორის მეორე წიგნის „თავისუფლება და განვითარება“ თარგმანი. ვთავაზობთ ერთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

იაპონია პირდაპირ აკვირვებს მთელ მსოფლიოს. ამ გაკვირვების საგანი განსაკუთრებით მისი უნიკალური კულტურაა. ისეთი იაპონური ტერმინები, როგორიც არის სამურაი, კამიკაძე, ჰარაკირი და ა. შ. მსოფლიოს თითქმის ყველა ერის სასაუბრო ლექსიკონში შევიდა. მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს ასევე აქ მიმდინარე „ეკონომიკური სასწრაულო“, რომელიც დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებული ტემპები შეიძინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ევროპული კულტურის გარეთ არსებული ქვეყნებიდან იაპონია თითქმის ერთადერთია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიცხვში მოხვდა.

1950-1979 წლებში იაპონიამ ეკონომიკური განვითარების თითქმის ყველაზე მაღალ ტემპებს მიაღწია კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. 1950-1959 წლებში ზრდის ტემპები აქ უდრიდა ნლიურ 9,5 პროცენტს, 1960-69 წლებში – 10,5 პროცენტს, ხოლო მთელი მსოფლიოსათვის რთულ სამოცდაათიან წლებში კი – 4,9 პროცენტს.

იაპონიის ასეთი მიღწევები მხოლოდ გაკვირვებას როდი იწვევს. იგი პოპულარულს ხდის იმ თეორიებსაც, რომლებიც ამ ქვეყანაში ასეთი ეკონომიკური წინსვლის საფუძვლად იქცა. ამ წარმატებას და მის გამომწვევ მიზეზებს სწავლობენ არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ გამორჩენილი მეცნიერებიც. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, იაპონიაში ეკონომიკური წარმატებების მიზეზია ის, რომ აქ ... იაპონელები ცხოვრობენ. ამაში იგულისხმება ის, რომ ეს ხალხი დაჯილდოებულია რაღაც გარკვეული ნიჭით, უჩვეულო ტალანტით, რომლებიც იაპონელებს პრინციპულად განასხვავებს სხვა ნებისმიერი ხალხისაგან (განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, ძველი საუკუნეებიდან შემორჩენილი თაობებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციები და ა. შ.).

ცხადია, ყოველ ერს აქვს რაღაც ისეთი, რაც მას სხვა ერები-საგან გამოარჩევს, განასხვავებს, რაც მისი განსაკუთრებული ისტორიიდან გამომდინარეობს. ეს თანაბრად ეხება იაპონიასაც. მაგრამ ისიც ნათელია, რომ მხოლოდ ამ თვისებას არ შეეძლო ეთამაშა გადამწყვეტი როლი იაპონიის თუ სხვა რომელიმე ქვეყნის ასეთ ბრწყინვალე ეკონომიკურ წარმატებებში. იაპონელები ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ მეცხრამეტე საუკუნეშიც, უფრო ადრეც, მაგრამ იაპონია მაშინ ღარიბი ქვეყანა იყო და ამასთან, მისი განვითარება იმ დროს მკვეთრად ჩა-

მორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების ტემპებს. ასევე მცდარია შეხედულება, რაღაც განსაკუთრებული თვისებებით ავსნათ სამხრეთკორეელთა ეკონომიკური წარმატებებიც. კორეელები უხსოვარი დროიდან არიან დასახლებული კორეის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ამგვარ წარმატებებს სამეურნეო ცხოვრების სფეროში ამ ხალხმა მხოლოდ ბოლო ხანებში მიაღწია. ადრე ეს ქვეყანა უაღრესად ღარიბი ხალხით იყო დასახლებული და იგი საყოველთაოდ მიაჩნდათ აზიის „ავადმოყვ წვერად“. მხოლოდ სამოციან წლებში აქ გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა სამხრეთ კორეის ასეთი უჩვეულო წარმატებები. აქ განსაკუთრებით იგულისხმება ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყანაში ტარდებოდა. ამგვარი პოლიტიკის წყალობით მიღწეულმა წარმატებებმა თავად კორეელებიც კი განაცვიფრა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კორეელები ჩრდილოეთ კორეაშიც ცხოვრობენ, რომელიც, სამრეწველო თვალსაზრისით, ადრე გაცილებით განვითარებული იყო, ვიდრე სამხრეთი. დღეს ჩრდილოეთ კორეის ეროვნული შემოსავალი ოთხჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ კორეის. ყოველივე აქედან, ერთი ყველასათვის ცხადი მორალი გამომდინარეობს: ამა თუ იმ საზოგადოების მიერ წარმატების (თუ წარუმატებლობის) ასხნა მხოლოდ მისი ხასიათის (ფსიქიკის) რაღაც გამორჩეული ნიშნებით, დიდი შეცდომაა. სამეურნეო წარმატებების უმთავრესი მიზეზები უნდა ვეძებოთ მოცემულ ქვეყანაში ადამიანის სამეურნეო საქმიანობისათვის შექმნილ მყარ და ნამახალისებელ პირობებში. მასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ, ასევე, საზოგადოების განათლების დონე, მშვიდი და სტაბილური საზოგადოებრივი ცხოვრება, მომავალი თაობის აღზრდის სისტემა, ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში და ა. შ. და ა. შ.

ყოვლისშემძლე სახელმწიფო?

სხვა პოპულარული თეორია იაპონიის უჩვეულო წარმატებას ეკონომიკაში სახელმწიფოს განსაკუთრებული როლით ხსნის. ეს თეორია და მისი წარმომადგენლები დიდ ყურადღებას მიაპყრობენ ამ ქვეყნის მრეწველობისა და ვაჭრობის ცნობილ სამინისტროს, - MITI-ს, რომელმაც შეიმუშავა შესაბამისი ეკონომიკური სტრატეგია და კონტროლს უწევდა მის პრაქტიკაში განხორციელებას. ცენ-



ლეშეკ ბალცეროვიჩი

ტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის ზოგიერთი მომხრე განსაკუთრებული პიეტეტით შეჰყურებს იაპონიას, როგორც ქვეყანას, სადაც, თითქოს, მოხდა მათი სათაყვანებელი პრინციპების რეალიზაცია. MITI-ის ზოგიერთ პოლონელ თაყვანისმცემელს მიაჩნია, რომ თუკი ჩვენთანაც მოხდებოდა მძლავრი ეკონომიკის სამინისტროს, ანდა, მით უფრო, ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის სამინისტროს ფორმირება, მაშინ პოლონეთი სწრაფად გახდებოდა მეორე იაპონია.

ეს, ჩემი აზრით, გულუბრყვილობის გამოვლინებაა. ამის დასადასტურებლად კიდევ ერთხელ გადავხედოთ ფაქტებს. როგორც ვიცით, იაპონიამ უდიდეს წარმატებას მიაღწია, სხვადასხვა შორის, მსუბუქი ავტომანქანების წარმოებისა და ექსპორტის სფეროში. და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ამას აცხადებს ცნობილი იაპონელი ეკონომისტი კენიხი ოხმაე, - იაპონიის საავტომობილო ფირმებმა წარმატებას თავიანთი მთავრობის გეგმების საწინააღმდეგოდ მიაღწიეს. კერძოდ, რამდენიმე ათეული წლის წინათ MITI-ში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ცხრა იაპონური საავტომობილო ფირმა ვერ გაუძლებდა კონკურენციას ამერიკული (დეტროიტის) საავტომობილო ფირმების მხრიდან და გაკოტრდებოდა. იგივე იაპონელი ეკონომისტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ისეთი, მართლაც კონკურენტული იაპონური სამრეწველო დარგები, როგორიც არის ელექტრომომწყობილობის, ქსეროქსების, ბიუროს მოწყობილობების წარმოება, საავტომო-

ბილო მრეწველობა და ზოგიერთი სხვა, რომლებიც საკმაოდ მაღალი ტემპებით ვითარდებოდნენ, დარჩენილი იყვნენ სახელმწიფო ინტერვენციის გავლენის გარეშე. უფრო მეტიც: როგორც აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პაულ კრუგმენი, ისეთი დარგები, რომელთაც ყოველმხრივი მხარდაჭერა ჰქონდათ მოპოვებული სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად, მეტალურგია, საკმაოდ წარუმატებლად ფუნქციონირებდა. ამ ასპექტში საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ორმა ამერიკელმა ეკონომისტმა რიჩარდ ბეისონმა და დავიდ ვესტინმა ბოლო წლებში შეისწავლეს დამოკიდებულება ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციასა (პრეფერენციული კრედიტები, საგადასახადო კრედიტები, სუბსიდიები, სამამულო წარმოების დაცვა იმპორტისაგან და ა. შ.) და განვითარების ტემპებს შორის იაპონური წარმოების დარგებში 1955-1990 წლებში. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო დიდაა ამგვარი დახმარება, მით დაბალია ეკონომიკის განვითარების ტემპები. როგორც ჩანს, იაპონელი მოხელეები ცუდად არჩევდნენ იმ დარგებს, სადაც ასეთი შედავათიანი პირობებით ახდენდნენ ფინანსური რესურსების დაბანდებას. სამაგიეროდ, დარგები, რომლებიც ვითარდებოდნენ განსაკუთრებით დინამიურად (საავტომობილო, ელექტროტექნიკის მწარმოებელი და ა. შ.), არ სარგებლობდნენ ასეთი შედავათებით. უკანასკნელ წლებში იაპონიაში ჩატარებული სპეციალური ეკონომიკური გამოკვლევების თანახმად ირკვევა, რომ ამ ქვეყნის ეროვ-

ნული მეურნეობა წინ მიდის არა მისი განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან რაღაც განსაკუთრებული ხელმძღვანელობით, არამედ ყოველივე ამის გარეშე. სხვათაშორის, მეც მქონდა საშუალება მესაუბრა ამ ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურებისა თუ სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, რომელთაგან მრავალი ასევე ამ აზრზე დგას. თავად MITI-ის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ უკვე კარგა ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა, გაეძლიერებინა თავისი გავლენა ეკონომიკაზე. ახლა თავიანთი სამინისტროს როლს ისინი ხედავენ ისეთი პირობების შექმნაში, რომლის დროსაც ბიზნესისა და ხელი-სუფლების წარმომადგენლები თავისუფლად იკამათებდნენ ქვეყნის სამეურნეო განვითარების პერსპექტივებზე.

წარმატების ნამდვილი მიზეზები

მაშ, სინამდვილეში როგორ ავსნათ იაპონიის მიერ უკანასკნელ ხანებში მიღწეული წარმატებების ნამდვილი მიზეზები სამეურნეო ცხოვრებაში? ვფიქრობ, რომ ამ ყოველივეს მხოლოდ რაღაც ერთი, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის, მიზეზი არ განაპირობებს. ამაში მრავალი მიზეზი ასრულებდა გადამწყვეტ როლს. ორმოციანი წლების შემდეგ დაბალი ინფლაციის წყალობით, ამ ქვეყანას ძალზე მტკიცე, სტაბილური ეროვნული ვალუტა ჰქონდა. ეს კიდევ ერთი მიმანიშნებელია იმისა, თუ როდენ აბსურდულია თეზა იმის შესახებ, რომ თითქოს ეკონომიკის გამოსავლი ცნობილად დამატებითი ფუნქციონირების ემისია იყოს აუცილებელი. ამავე დროს იაპონიაში ძალზე დაბალი იყო (ვიდრე საშუალოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში) ეკონომიკის დატვირთვა გადასახადებით, ასევე მეტად რაციონალიზებული იყო საბიუჯეტო ხარჯვებიც.

იაპონიის ეკონომიკაში დომინირება და ახლაც დომინირებს კერძო საკუთრება. სახელმწიფო ფირმები იქ გაცილებით ნაკლებ ადგილს იკავებენ, ვიდრე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. იაპონიაში რკინიგზებზეც კი პრივატიზებულია. აქ პირველი პრივატიზაციის პროცესები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გატარდა. ამის შემდეგ, იმპერატორ მეიძის ეპოქაში, როგორც დროებითი ლონისძიება, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ეკონომიკის ინვესტირება. მაგრამ ამგვარ როლზე სახელმწიფოს მხრიდან აქ მალევე აიღეს ხელი. ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შემდგომ ლონისძიება იაპონიაში შეიძლება მიჩნეული იქნეს ექსპორტის ნამახალისებელი ნაბიჯები. ამასთან, ყველაფერი კეთდებოდა იმისათ-

იაპონია: ბრწყინვალეობა და ჩრდილები

07 გვარდიდა

ვის, რომ ქვეყანაში ხელი არ შეშლიდა კონკურენციის განვითარებას. დამქირებლებსა და დაქირავებულებს შორის ჩამოყალიბდა უჩვეულო ჰარმონიული დამოკიდებულება. ეს ხელს უწყობდა იმას, რომ ფირმის მიერ მიღებული მოგება უცბად კი არ „შეჭმულიყო“, არამედ კვლავ დაბანდებულიყო მის პერსპექტიულ განვითარებაში. ცხადია, ამით ხელი ეწყობოდა როგორც ფირმის განვითარებას, ისე საერთო ადგილების შექმნასაც. ყოველივე ამას გაგებით ხვდებოდა ქვეყნის პროფკავშირებიც.

ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას ხელს უწყობდა ასევე დამზოგველობისა და ინვესტიციების გაზრდისადმი იაპონელთა ტრადიციები და ბუნებრივი მიდრეკილებები. არ უნდა დაგვაიწყინდეს, ასევე, იაპონელთა განათლების მაღალი დონე და ამ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული პოლიტიკური სტაბილურობა.

იაპონიის ინსტიტუციონალური განსაკუთრებულობა

იაპონურ ეკონომიკურ სისტემას წარსულში ჰქონდა, - და გარკვეულ დონემდე ახლაც ახასიათებს, მნიშვნელოვანი თავისებურებები. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების უნიკალური წესი, რომელიც დიდ სანარმოებში სხვადასხვა დონეზე მის შეთანხმებას გულისხმობს. ეს, ცხადია, დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის გარანტია ხდება.

იაპონიის სამეურნეო ცხოვრებისათვის სხვა დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მოცემულ სანარმოში მუშაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების გარანტიები. ამასთან, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ეს ეხება იაპონელ მუშაკთა დაახლოებით 25 პროცენტს, ანუ მათ, რომლებიც დიდ კორპორაციებში მუშაობენ. ქვეყნის ეკონომიკის დანარჩენ სექტორში მოქმედებს ელასტიური, თავისუფალი კონკურენციის კანონებს დაქვემდებარებული შრომის ბაზარი.

იაპონიის ეროვნული მეურნეობისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს სანარმოთა დიდი ჯგუფების, - keiretsu-ების არსებობა. მათი გაერთიანება ეფუძნება ჯგუფის წევრების მიერ ურთიერთის აქციების ფლობას. ამასთან არის დაკავშირებული იაპონური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მეოთხე თავისებურება: გარკვეული ბანკებისა და უზარმაზარი სანარმოების მრავალწლიანი და მტკიცე ურთიერთკავშირი, რომლებიც ხშირად ერთი და იმავე keiretsu-ების წევრები არიან. ამგვარი გრძელვადიანი ურთიერთობები ქვეყანაში ნედლეულის (ნახევარფაბრიკატე-



ტოკიოს ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.

ბის) მწარმოებელთა აკავშირების საბოლოო პროდუქციის მწარმოებლებთან. ყველაფერმა ამან იაპონიაში გარკვეული სტრუქტურების შიგნით შექმნა კოლექტივიზმის ძლიერი სისტემა, რომელიც სრულიად არ გამოირიცხავს კონკურენციას სისტემის შიგნით.

ეს და იაპონიის ეკონომიკის ზოგიერთი სხვა დამახასიათებელი თვისება დამკვირვებლების მიერ აღიარებულია ქვეყნის ეკონომიკის ასე სასწაულებრივი განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელთაც გადაწყვეტი რილი ითამაშეს იაპონიის წარმატებებში ანგლო-საქსური ქვეყნების ლიბერალურ მოდელთან შედარებით. მაგრამ ამგვარი შეხედულება ნაკლებდამაჯერებელია. ჩვენს ამ დაეჭვებას ზურგს უმაგრებს ისიც, რომ 1973 წლიდან იაპონია კარგავს განვითარების ტემპებს და ეს მაჩვენებელი წლიურ სამოთხე პროცენტამდე დაეცა. ეს ნაწილობრივ წარმატებების ფასიც იყო: ქვეყანამ უკვე მიაღწია განვითარებული ქვეყნების დონეს და, ამდენად, უკვე შეუძლებელია ეგრეთ წოდებული „ჩამორჩენილობის პრემიის“ მიღება (ანუ გამოყენება, ათვისება ყოველივე იმისა, რაც დაგროვილია სხვა ქვეყნების გამოცდილებით), რასაც ასე კარგად აკეთებდნენ იაპონელები. განვითარების ძველი ტემპების შენარჩუნებას ხელს უშლიდა (და უშლის) ასევე იაპონური საზოგადოების დაბერება, რაც ამცირებს ფინანსური სახსრების დაზოგვის მასშტაბებს. როგორც ცნობილია,

არსებობს მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი საზოგადოების დემოგრაფიულ სტრუქტურას, სახსრების დაზოგვასა და ინვესტიციებს და, ასევე, ეკონომიკურ ზრდას შორის.

ყოველივე ამას დამატა 80-იანი წლების ბოლოს ამ ქვეყანაში მომხდარი მოვლენები, ანუ კრიზისი უძრავი ქონების ბაზარზე და საბანკო სფეროში. ამავე მოვლენების წყებაში უნდა განვიხილოთ იენის ლირებულების ზრდაც დოლარის მიმართ თითქმის 24 პროცენტით სულ რამდენიმე წელიწადში. ამან მკვეთრად დასცა იაპონური საქონლის კონკურენტულობა მსოფლიო ბაზარზე. ამ პერიოდიდან იაპონიის ეკონომიკა მკვეთრი და ამასთან ხანგრძლივი დაცემის გზას დაადგა. ყოველივე ამის გამო იაპონელმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა კრიტიკული თვალთ დაუწყეს ყურება ძველ, ტრადიციულ ლირებულებებს. ზოგიერთ გიგანტ სანარმოში, მაგალითად, სანიოში, ჰონდაში და ა. შ. დაიწყო ფირმის მმართველობის სტრუქტურის მკვეთრი ცვლილებები. კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა ასევე ტრადიციული იაპონური ჩვეულება დიდ კონცერნებში მუშაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავებისა. მომავალში ეს მხოლოდ იმ მუშაკებს შეეხება, რომლებიც უკვე დაქირავებულნი არიან. რაც შეეხება ახალ მუშაკებს, მათ ისეთივე ხელშეკრულებების საფუძველზე მიიღებენ სანარმოში, როგორც დასავლეთის სანარმოებში.

დეფორმაცია, კრიზისი, რეფორმები

კიდევ უფრო მეტი დეფორმაცია განიცადა ქვეყნის ეკონომიკის ისეთმა დარგმა, როგორცაა სოფლის მეურნეობა. იგი ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა (და წარმოადგენს) ეკონომიკის უაღრესად არასაბაზრო, პროტექციონისტურ სფეროს. ეს გარემოება იწვევდა იმას, რომ იაპონელი მომხმარებელი საბოლოო ჯამში, შეძენილ საქონელში იხდიდა გაცილებით მეტს, ვიდრე, ვთქვათ, ამერიკელი თუ დასავლეთი ევროპელი (მაგალითად, აქ ხორციის ფასი ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე შეერთებულ შტატებში).

უკიდურესი ანტისაბაზრო ინტერვეციონიზმი სოფლის მეურნეობაში გამოიხატებოდა მნიშვნელოვანწილად იმაში, რომ აქ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება შესაბამისი იმპორტული პროდუქციისაგან დაცული იყო სერიოზული საბაჟო ბარიერებით. იაპონელი ეკონომისტების მიერ განხორციელებული შესაბამისი გაანგარიშებებით ცხადი ხდება, რომ ამ სახით იაპონელი მომხმარებელი კარგავდა მინიმუმ 75-110 მილიარდ დოლარს, რაც ეროვნული შემოსავლის სამოთხე პროცენტს შეადგენდა. სახელწიფოს მიერ ასეთ დიდ ფასად (ამ სფეროში დასაქმებული ერთი ადამიანის შენახვა ქვეყანას დაახლოებით 600 ათასი დოლარი უჯდება. ეს შეადგენს მრეწველობაში დასაქმებული

იაპონელი მუშაკის საშუალო შრომის ანაზღაურების 2,7 - ჯერ უფრო მეტს) დაცულ აგრარულ სფეროში მუშაობს დაახლოებით 180 ათასი ადამიანი.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ქვეყნის ზოგიერთ სხვა სექტორშიც, მაგალითად, მომსახურებაში. ამ მიზეზით მომსახურების ისეთ სექტორებში, როგორც არის, მაგალითად, ვაჭრობა და საბანკო საქმე იაპონიაში შრომის მომსახურება 40-50 პროცენტით დაბალია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იაპონიაში ამ სფეროებში არსებობს ფარული უმუშევრობა.

ყოველივე ეს იმაზეც მიუთითებს, რომ იაპონიის ეკონომიკაში ამ მხრივ არსებობს ორმაგი სტანდარტები. საოცრად გამართული, უაღრესად კონკურენციული სამრეწველო დარგები და უაღრესად დაბალეფექტური მომსახურების და ეკონომიკის ზოგიერთი სხვა დარგი, სადაც კონკურენცია გაცილებით დაბალ დონეზეა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იაპონელთა შემოსავლების ზრდასთან ერთად მათ მოხმარებაში სამრეწველო პროდუქციის ხვედრი წილი მცირდება, ხოლო მომსახურების იზრდება, მაშინ ნათელი გახდება, თუ რაოდენ აუცილებელია რეფორმები ამ სფეროებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მომავალში კიდევ უფრო მეტი საფრთხე დაემუქრება.

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილი

ვაჭრობა და ხელოსნობა ძველ საქართველოში

საქართველოში, ტრადიციულად, სახელმწიფო ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა იყო. მათი ხელახალი აღორძინება, უპირველესად, მოითხოვდა სავაჭრო-საქარავნო გზების დაცვასა და ქალაქების მოსახლეობისთვის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას. ხშირი ლეკიანობის პირობებში ამის მიღწევა საკმაოდ რთული იყო. თანამედროვეთა თხზულებებში, მე-18 საუკუნის შუა წლებში ლეკთა მიერ ქარავნების ძარცვის, გზების შეკვრის, სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობის დანთქების არაერთი ფაქტია მოთხრობილი. მეტიც, შიდა სამიმოსვლო გზების ჩაკეტვის შედეგად ხშირად ფერხდებოდა ქალაქთა მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგება. „შეიკრა გზები მტრისაგან (ლეკთაგან), რომ მგზავრი აღარ გაატარეს. აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავანი: ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიად შეწუხდნენ,“ – წერდა თანამედროვე. არაერთხელ ლეკები თბილისსაც დასხმიან თავს: „ავლაბრის მხარეს ... მტკუარის პირზედ მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყლით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩულურებისა და ავლაბრის შუა ხევიდან დაქვეითებული ლეკები ნამოეპარნენ, მჩითავები მტკუარში შეცურდნენ, ლეკებმა ჩითები დაიტაცეს და გაიქცნენ.“

მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოში მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობი ეკონომიკური აქტივობა შეინიშნებოდა. მაგალითად, თბილისში მომრავლდა მანუფაქტურული ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებიც საისტორიო წყაროებში „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდებიან. ისინი, ძირითადად, მეფისა და სამეფო სახლის წევრთა საკუთრებას შეადგენდნენ და, როგორც წესი, სხვადასხვა პირებზე იჯარით იყო გაცემული. ასე მაგალითად, თბილისის ლითონჩამომსხმელი ქარხნის ბაზაზე აშენდა ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა. ახტალის ვერცხლის სადნობი ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით გაფართოვდა თბილისის ზარაფხანა. მისი საიჯარო შემოსავალი ყოველწლიურად შეადგენდა 30 ათას მანეთს. მე-18 საუკუნის შუა წლებში ზარაფხანის მოიჯარადრე იყო მსხვილი ვაჭარი ხოჯა ბეჰბუდა. მოგვიანებით, 1792 წლიდან ზარაფხანა იჯარით ჰქონდა აღებული მელიქიანთ ამხანაგობას შაქარაშვილი გასპარას მეთაურობით. თბილისის ზარაფხანაში ძირითადად იჭრებოდა ვერცხლისა (ქვესმურიანი, აბაზიანი, ორშაურიანი - უზალთუნი, შაურიანი) და სპილენძის (შაური, ბისტი, ნახევარი



ბისტი, ფული, ნახევარი ფული) მონეტები. თბილისის სამონეტო ბაზარზე დიდი რაოდენობით ტრიალებდა უცხოური ოქროს მონეტაც. საქართველოში ოქროს ყოველგვარ მონეტას ფლურს უწოდებდნენ. ერთი „ფლური“ დაახლოებით შვიდ ქართულ აბაზს უდრიდა. მე-18 საუკუნის საქართველოში წარმატებით საქმიანობდნენ ზარაფები, ანუ საფასურით ფულის დამზადებლები და სარგებლით ფულის გამსესხებლები. მათ ჰქონდათ სპარსეთის, ოსმალეთისა და სხვა ქვეყნების ფულის ნიშნები და მათ ქართულ ფულზე ახურდავებდნენ. მათ იცოდნენ ოქრო-ვერცხლის ფასი, მაზანდა და სხვა, მგზავრობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და ახურდავებდნენ იქაურ ფულს. უცხოური ოქროს მონეტები (ასლანი, ფლური, ვე-

ნეტიკური სეკინი, დუკატი) დაახლოებით 3,5 გრამს იწონიდა და მცირედი დამრგვალებით უტოლდებოდა 50 გრამ მალალსინჯიან ვერცხლს. ოქროსა და ვერცხლის შეფარდებითი ღირებულება (1/14 - 1/15) სწორედ ისეთი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში, როგორც იმ დროს მსოფლიო ბაზარზე. 1749 წელს მუშაობა განაახლა თბილისის სტამბამ. ეს საწარმოც იჯარით იყო გაცემული. იჯარის ფასში მეფე იღებდა მოგების ნახევარს, მაგრამ სტამბის ქალაქში მომარაგება მასვე ევალებოდა. თბილისის შედარებით მსხვილი სამეფო საწარმოებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, მარლისანმენდი, მინის, თიხის ჭურჭლის, საპნის ქარხნები და სხვა. თბილისი განთქმული იყო ვაჭრობის მხრივ მთელს კავკა-

სიაში. ქალაქში მუშაობდა თითქმის ყველა სავაჭრო და სახელოსნო მაღაზია. მაგალითად, არსებობდა მესაათის მაღაზიები. მე-18 საუკუნის ბოლოს მესაათედ იდგა გერმანელი გოტფრიდი. ქალაქში მუშაობდა რამდენიმე აფთიაქი, რომელთაც წამალხანებს ეძახდნენ. მისი მმართველები, მეტწილად, ევროპელები იყვნენ. სამაგიეროდ, ხმელი ხილის მაღაზიები სპარსეთიდან ჩამოსულ ვაჭრებს ეკავათ. თბილისში მრავლად იყვნენ მეხალიჩენი, მეფარდაგენი, ფეიქრები. ასევე მესარკეებიც, რომელთაც სარკეები კონსტანტინეპოლიდან (სტამბოლიდან) შემოჰქონდათ. ისინი ადგილზე აკეთებდნენ და ყიდდნენ სხვადასხვა ფერის შუშებს - ლურჯს, წითელს, ყვითელს, შავს და სხვა შუშბანდებისთვის.

ყაზახები ვაჭრობდნენ ძაფეულობით, რომელიც ჩამოჰქონდათ სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და ინდოეთიდან. მეზამბეები ყიდდნენ ბამბას, მატყლს, ყაჭს და ჯაგარს. ქართველებმა ჯაგარი და მატყლი ევროპაში პირველად 1770 წელს გაიტანეს. საქართველოში, იმ დროს, დიდი მოთხოვნილება იყო ქურქებზე. ამ საქმის ოსტატნი საქართველოს ყველა კუთხეში იძენდნენ ცხოველთა ტყავებს. ტყავეულობა უცხოეთიდანაც შემოდიოდა. თბილისში ჭონების არაერთი ქარვასლა არსებობდა. ამ ხელოსნის ხალხი რამდენიმე ასეულს შეადგენდა. მაშინ ქართულ ქუდებს დიდი გასავალი ჰქობდა. რაც შეეხება ოქრომჭედებს, მათ თბილისში მთელი უბანიც კი ეკავათ.

გაბრძელობა DIO გვირდვა

ვაჭრობა და ხელოსნობა ძველ საქართველოში

09 გვარდიდას

თბილისის ქუჩები და ბაზრები დაყოფილი იყო ისე, რომ თითო ხელოსნის ხალხს თითო ქუჩა და ბაზარი ჰქონდა არჩეული. ყველანი ერთი ხელოსნისა და ვაჭრობის მიმყოფნი ერთ ქუჩაზე იყვნენ დასახლებულნი. ასე მაგალითად, მექვაბეები ესახლნენ ერთ ქუჩაზე, ხარაზების ქუჩას ეწოდებოდა „ხარაზხანა“, ჭონებისას - „ჭონხანა“, ყასბებისას - „ყასაბხანა“, სირაჯებისას - „სირაჯხანა“ და ა.შ. თბილისის სახელოსნოების პროდუქცია არა მარტო მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, არამედ დიდი ოდენობით გადიოდა მეზობელ ქვეყნებშიც.

თბილისელი ხელოსნები, ისევე როგორც ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა, ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი. ამქრებს ცალ-ცალკე ქმნიდნენ ხელოსნები (ხუროები, კალატოები, ხარაზები, ნალბანდები, მექვაბეები, ოქრომჭედლები, მესაათეები, ჭონები, მჭედლები და ა.შ.). ცალკეულ ამქრებში ერთიანდებოდნენ ერთი და იმავე საქონლით მოვაჭრეებიც (ბაზაზები, ყასბები, ბაყლები, მენვრილმანეები და ა.შ.). ამქარს ხელმძღვანელობდა ამქრის თავი, რომელსაც ამქარბაშს (ამქრის თავს) ან უსტაბაშს (ოსტატთა თავს) უწოდებდნენ. შუა საუკუნეების თბილისში უსტაბაშს თვით ამქარი ირჩევდა. არჩევნებში მონაწილეობდა ამქრის ყველა სრულუფლებიანი წევრი. თუმცა მას შემდეგ, რაც ქალაქზე მთლიანად გაბატონდა ფეოდალური არისტოკრატია, რასაც ადგილი ჰქონდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ამქარს მხოლოდ უსტაბაშის კანდიდატურის წამოყენების უფლება დაუტოვეს. კანდიდატს უშუალოდ მეფე ამტკიცებდა. მასვე რჩებოდა ამქრის თავის თანამდებობიდან გადაყენების უფლებაც.

ოსტატის უფლება-მოვალეობანი ამქრის წევრთა მიმართ მრავალმხრივი იყო. იგი ანაწილებდა ამქრის წევრთა შორის სამუშაოს, ამოწმებდა მათ საქმიანობას, იღებდა ამქარში ახალ წევრს. ოსტატთან შეთანხმებით ხდებოდა ამქრის წევრის მიერ შეგირდის აყვანა. ოსტატი დახმარებას უწევდა ამქრის ავადმყოფ და უძლურ წევრებს, რელიგიური დღესასწაულების დროს უზრუნველყოფდა ეკლესიაში ამქრის წევრთა დასწრებას ლოცვებზე და სხვა. ქართული ამქრული წყობისთვის უცხო იყო რელიგიური დისკრიმინაცია. ერთსა და იმავე ამქარში შეიძლებოდა მოხვედრილიყო მართლმადიდებელი, გრიგორიანელი, კათოლიკე, მუსლიმი და სხვა რწმენისა თუ ეროვნული კუთვნილების წარმომადგენელი. ამრიგად, ყველა სახელოსნო და სავაჭრო საქმეს თავისი მფარველი ოსტატი და ვაჭარი ჰყავდა. გარდა ამისა, ყოველ მე-

დუქნე ვაჭარს ქუჩაში ე.წ. „ჰასასები“ ეყენა, რომელთაც დუქნების ყარაულობა ევალებოდათ.

ქართლ-კახეთის დედაქალაქში თავს იყრიდა სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც მას აკავშირებდა როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის ქალაქებთან, ასევე ერევან-ერზრუმისა და ახალქალაქ-ახალციხის გავლით, კონსტანტინეპოლთან. 1750 წლიდან გაიხსნა დარიალის (რუსეთის) გზა, რომლითაც საქართველო ამ ქვეყნის მსხვილ სავაჭრო ცენტრებს დაუკავშირდა. სატრანზიტო და ადგილობრივი სავაჭრო გზები თავს იყრიდა თბი-


ლისის ექვს ძირითად კართან (კოჯრის, დიღმის, მეიღმის, ქვემო კარი, განჯისა და აბანოს კარი). ბაჟის გადახდა ყველა კართან აუცილებელი გახლდათ. ასეთი იყო თბილისში შემოტანილი იმპორტული საქონლის ასორტიმენტი: აბრეშუმის, ბამბისა და შალის ქსოვილები, ნაბდები, ნოხები, სხვადასხვა სახის ბეწვეული, ფოლადი, რკინა, გვარჯილა, ქალაღი, თოფიარაღი, ძვირფასი თევლები, წვრილმანი ხელოსნური ნაწარმი, მარილი, შაქარი, ყავა, ლიმონი, თამბაქო, ძვირფასი თევზეული, ხიზილალა, სანელებლები. კონკურენცია ადგილობრივსა

და უცხოურ საქონელს შორის თითქმის არ შეინიშნებოდა, რადგან ადგილობრივი მრეწველობა ანარმოებდა ფართო მოხმარების პროდუქციას, რომელიც, ძირითადად, საზოგადოების დაბალი ფენების მოთხოვნებს პასუხობდა, მაშინ როცა იმპორტული საქონლის მომხმარებელი, არსებითად, ფეოდალური ზედაფენა იყო.

რუსეთსა და ევროპაში მიმავალ ქართველ ვაჭრებს ქართლ-კახეთის სამეფოსგან სამენოვანი პასპორტები ეძლეოდათ. მათთვის სამგზავროდ გამოყოფილი იყვნენ ყარაულეები. ხშირად მოქმედებდა ისეთი

წესიცი, რომ ვინც რუსეთში წავიდა სავაჭროდ, იმას უთუოდ ცოლი უნდა ჰყოლოდა და ცოლ-შვილი მიეველად საქართველოში უნდა დაეტოვებინა. აღმოსავლეთის ქვეყნებში სავაჭროდ უცოლშვილოებსაც უშვებდნენ. საქართველოს სამეფო ხელისუფლება აქტიურად ერეოდა მსხვილ სავაჭრო ოპერაციებში, თავისი ინტერესების შესაბამისად წარმართავდა მათ და შესაძლო დაბრკოლებებისგან იცავდა.

მოამზადა
გიორგი კალანდაძემ



ნარმატიული ეკონომიკური რეფორმის პეფასაბის კრიტიკიუბები

სარ როჯერ დუგლასი

ლიბერალური ინსტიტუტის
ყოველწლიური ლექცია,
პრაღა, ადრია პალასი, 26 თქ-
ტომბერი, 1998

სერ როჯერ დუგლასი იყო
ახალი ზელანდიის ფიზიკის-
ტული მთავრობის ფინანსთა მი-
ნისტრი 1984-1988 წლებში და
პასუხს აგებდა ერთ-ერთ ყველა-
ზე რადიკალურ საბაზრო ორი-
ენტირებულ ეკონომიკურ რე-
ფორმაზე თანამედროვე მსოფ-
ლიო ისტორიაში.

გმადლობთ ნარდგენისა და
გულთბილი მიღებისათვის. დიდ
პატივად ვთვლი მოწვევას, რომ
ნავიკითხო მესამე ყოველწლიური
ლექცია და განსაკუთრებით შე-
საძლებლობას, რომ გამოვიდე ბა-
ტონი მილტონ ფრიდმანის შემ-
დეგ. არ მაქვს იმედი, რომ ეკონო-
მიკის დარგში მისი ცოდნის და გა-
მოცდილების დონის მოხსენებას
გავაკეთებ. მაგრამ ნამდვილად
მჯერა, რომ ახალი ზელანდიის
გამოცდილება საინტერესო იქნე-
ბა თქვენთვის.

საკითხი, რომელსაც მე დღეს
მინდა შევეხო, მოკლედ რომ
ვთქვა, შეეხება იმ მდგომარეო-
ბას, რომელშიც ახალი ზელანდია
აღმოჩნდა 1984 წლისათვის. ამას-
თანავე შევეხები იმას, თუ როგორ
მოვახერხეთ გამოვსულიყავით
ქაოსიდან, რომელშიც ჩვენ მაშინ
აღმოვჩნდით. მე დავახასიათებ
პოლიტიკას, რომელიც ჩვენ გან-
ვხორციელეთ იმისთვის, რომ გა-
დაგვეჭრა მთელი ეს პრობლემა-
ტი. უფრო დეტალურად კი, - შევ-
ჩერდები იმ შედეგებზე, რომლებ-
იც მოიტანა ამ პოლიტიკის გან-
ხორციელებამ. ბოლოს შევეხები
იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ
გაკვეთილებს, რომლის სწავლაც
შეიძლება ახალი ზელანდიის გა-
მოცდილებიდან.

მოკლედ ახალი ზელანდიის ნარსული ეკონომიკური პრობლემების შესახებ

1984 წლამდე განვილი ათწ-
ლეულში ახალი ზელანდიის ეკო-
ნომიკური ზრდის მაჩვენებელი
საშუალოდ ეკონომიკური თანამ-
შრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის საშუალო მონა-
ცემის ნახევარს შეადგენდა, ხო-
ლო ინფლაცია ამავე მონაცემე-
ბის საშუალოზე 1,5-ჯერ მაღალი
იყო. სამთავრობო ხარჯები შიდა
ეროვნული პროდუქციის 29 პრო-
ცენტს შეადგენდა 39 პროცენტამდე გაი-
ზარდა, რომლის დიდი ნაწილიც
დაფარული იყო სხვადასხვა სამ-
თავრობო ბიზნეს-სააგენტოებში.
წმინდა სახელმწიფო დავალიანე-
ბა ექვსჯერ გაიზარდა და ამ ვა-
ლებს მომსახურების ფასმა
აინია 6,5 პროცენტად დაახლო-
ებით 20 პროცენტამდე. უმუშევ-
რობა გაიზარდა 5000-დან
132000-მდე და არ არსებობდა მი-
სი შეჩერების არავითარი ნიშანი.
თუკი უფრო გრძელვადიან პერს-
პექტივაში განვიხილავთ 1984
წლამდე 25-წლიან პერიოდს, ახა-
ლი ზელანდიის პროდუქტიულო-
ბის საშუალო ყოველწლიური
ზრდა ყველაზე დაბალი იყო გან-
ვითარებულ ქვეყნებს შორის. ახა-

ლი ზელანდიის ცხოვრების შედა-
რებითი სტანდარტი მსოფლიოში
მესამე ადგილიდან, რომელიც მას
ეჭირა 1950-იან წლებში, 20-მდე
ჩამოვიდა. სხვაგვარად რომ შევ-
ხედოთ, 1960 წლიდან 1990 წლამ-
დე ახალ ზელანდიას რომ მოე-
ხერხებინა, მიეღწია განვითარე-
ბული მსოფლიოს ზრდის მაჩვე-
ნებლისთვის, მაშინ ჩვენი ცხოვ-
რების სტანდარტი 1990 წელს იქ-
ნებოდა ორჯერ უფრო მეტი, ვიდ-
რე ის იყო რეალურად. ეს მიუთი-
თებს, თუ რამდენად მიმე იყო
ახალი ზელანდიის მდგომარეობა
იმ პერიოდში. ამის კიდევ ერთი
მაჩვენებელია ის, რომ 1967 წელს
ერთი ახალ ზელანდიური დოლარ-
ი უდრიდა 1.43 აშშ დოლარს.
1984 წლისათვის ის - 43 აშშ ცენ-
ტის ტოლფასი იყო.

რა იყო ეკონომიკური რეფორმის
კონტროლის ძირითადი ელემენ-
ტები, როდესაც ჩვენ, 1984 წელს,
მოვედით ხელისუფლებაში? დად-
გენილებით გაყინული იყო ყვე-
ლა ზელფასი, ფასები, დივიდენ-
დები, რენტა და საპროცენტო გა-
ნაკვეთები. ასევე გაყინული იყო
ყველა სამთავრობო მომსახურე-
ბის ფასი და გადასახადები. ჩვენ
გვქონდა დაწესებული კონტრო-
ლი ვალუტის გადაცვლაზე, რო-
მელიც სარეზერვო ბანკის მიერ
დადგენილი წესებით ზღუდავდა
ყველა გადარიცხვებს უცხოურ
ვალუტაში. ჩვენ ასევე გვქონდა
დაწესებული რაოდენობრივი ლი-
ცენზირება იმპორტზე, რათა
დაგვეცვა ეროვნული ბაზარი და
დაგვეთმო იგი ადგილობრივი
მწარმოებლებისათვის. ჩვენ
გვქონდა მნიშვნელოვანი სუბსი-
დირება ყველა დიდი საქსაბოტო
სექტორისათვის. ჩვენ გვქონდა
ძალიან მაღალი ტარიფები იმ
პროდუქტებზე, რომელიც ინარ-
მოებოდა ადგილობრივ ბაზარზე
და დაბალი ან ნულოვანი ტარი-
ფები ჩვენი ინდუსტრიისათვის.
გვქონდა მოთხოვნები ფინანსური
ორგანიზაციების მიმართ - შეე-
ნარჩუნებინათ სამთავრობო ობ-
ლიგაციები ბაზარზე არსებულზე
დაბალი საპროცენტო განაკვეთე-
ბით.

არსებობდა აკრძალვა, რომ
საზოგადოებრივი სექტორის სა-
პენსიო ფონდები არ დაბანდებუ-
ლიყო არსად, სამთავრობო აქცი-
ების გარდა. ჩვენ გვქონდა ფარ-
თომასშტაბიანი საკანონმდებლო
დაცვა და სახელმწიფო მფლობე-
ლობაში იყო არა-საბაზრო სექ-
ტორები: ტრანსპორტი, ენერჯე-
ტიკა, კომუნიკაციები, ფინანსები,
მშენებლობა და სხვ.

როგორ აღმოჩნდა ახალი ზელანდია ამ ტიპის სტრუქტურულ დისბალანსში?

პირველ რიგში, რაც სამთავ-
რობო პოლიტიკამ დაამახინჯა,
იყო მსოფლიო ეკონომიკური
პროცესებიდან მომდინარე ფასე-
ბის სიგნალები რესურსების საუ-
კეთესოდ გამოყენების შესახებ,
განსაკუთრებით ეს შეეხებოდა
ტარიფებისა და იმპორტის კონტ-
როლს. მაკროეკონომიკური პო-
ლიტიკა კონცენტრირებული იყო
სტაბილურობის შენარჩუნებაზე,
რესურსების ეფექტიანად გამო-
ყენების საშუალებით ეკონომი-
კური ზრდის მიღწევის მაგივრად.
მარეგულირებელი პოლიტიკა,



რომელშიც მე ვგულისხმობ შრო-
მის, ვაჭრობის და კომერციული
საქმიანობის შესახებ კანონებს,
მიმართული იყო ეფექტიანობისა
და ინოვაციის სანინაღმდეგოდ.
ისინი გამოყენებული იყო პრო-
ტექციისა და სტაბილიზაციისათ-
ვის. ინფლაციამ და საგადასახა-
დო პოლიტიკამ რესურსები მი-
მართა რისკიანი ანდა არაპრო-
დუქტიული საქმიანობისაკენ. ფი-
ნანსურმა კონტროლმა გამოიწვია
კაპიტალის არაეფექტიანი ბაზ-
რის ჩამოყალიბება. სოციალურმა
პოლიტიკამ შედეგად მოიტანა მა-
ღალი ზღვრული საგადასახადო
განაკვეთები და ძვირადღირებუ-
ლი ყოველმხრივი პრივილეგიები.
სამთავრობო სააგენტოების მმარ-
თველობა იყო ძალიან დაბალკ-
ვალიფიციური, ექვემდებარებო-
და პროტექციას, ხორციელდებო-
და სუბსიდები და გავლენას ახ-
დენდა ქვეყნის რესურსების დიდი
ნაწილის გამოყენებაზე. მთავრო-
ბის ადმინისტრაციული საქმიან-
ობა ვერ პასუხობდა ცვალებად
პრიორიტეტებს და არაადექვა-
ტური იყო ეფექტიანობის მიღწე-
ვის თვალსაზრისით.

რა პოლიტიკა გავატარეთ ახალ ზელანდიაში, რომ მიგვეღწია სტრუქტურული ცვლილებისათვის 1984 წლის შემდეგ?

მათთვის, ვისთვისაც სრული-
ად უცნობია, რა ცვლილებები
მოხდა ახალ ზელანდიაში, სჯობს
არ სცადონ მომხდარი ცვლილე-
ბების ყველა დეტალში გარკვევა.
სანაცვლოდ მე გთავაზობთ, ყუ-
რადლება მიაქციოთ ცვლილების

მასშტაბურ ხასიათს და ლოგიკუ-
რობას, რომელიც ახასიათებდა
ცვლილებებს.

პოლიტიკის რეფორმები: შიდა სავაჭრო საზღვრის დაცვის მოხსნა

შიდა სავაჭრო საზღვრის
დაცვა, საბაჟო ტარიფები და იმ-
პორტის ლიცენზირება მიზნად
ისახავდა საშინაო პროდუქციის
ზრდას. ამის მაგივრად, მათი ძირ-
ითადი ეფექტი იყო პროდუქცი-
ის შესაძლო სპექტრის შემცირება
და ფასების გაზრდა. ამას შედე-
გად მოჰყვა ახალი ზელანდიის
კონკურენტუნარიანობის კლება
და მსოფლიო ვაჭრობის პროცეს-
ში ჩვენი მონაწილეობის შემცირე-
ბა.

რა პოლიტიკა გატარდა ჩვენს მიერ სიტუაციის გამოსასწორებლად?

პირველი ნაბიჯი იყო თავისუ-
ფალი ვაჭრობის ხელშეწყობა
ახალ ზელანდიასა და ავსტრალი-
ას შორის, რაც გულისხმობდა თავ-
ისუფალ ვაჭრობას ერთმანეთის
ბაზარზე. ჩვენ გავაუქმეთ იმპორ-
ტის ლიცენზირება 1980-იან
წლებში. შევამცირეთ ტარიფები
და დაგვემილია მათი სრული გა-
უქმება 2003 წლისათვის.

ცვლილებების შემდეგი სფერო
იყო მრეწველობისადმი დახ-
მარების ლიკვიდაცია. გაზრდილი
საშინაო ხარჯების კომპენსაციისა
და შიდა სავაჭრო საზღვრის
დაცვის შედეგად ჩვენ განვითარ-
ებულნი ვაჭრობა სუბსიდების
მზარდი სპექტრი და ექსპორტის
დახმარების გარანტიები. ეს სუბ-

სიდეები ვრცელდებოდა ფერმე-
რულ სფეროშიც კი, ისევე რო-
გორც შემოსავლების მზარდაჭე-
რასა და შემოსავლობების სუბ-
სიდირებაზე. რა ზომები მივიღეთ
ამ სფეროში? გავაუქმეთ ფასები-
სა და შემოსავლების მარეგული-
რებელი კანონები. ხუთი-ექვსი
წლის განმავლობაში გავაუქმეთ
ფერმერული სუბსიდები. გავა-
უქმეთ საგადასახადო შეღავათე-
ბი ექსპორტიორებისათვის. გავა-
უქმეთ ყველა საექსპორტო გა-
რანტიები, და დაბალპროცენტო-
ანი სასესხო ვალდებულებები. ამ-
ჟამად ახალი ზელანდიის, რო-
გორც ფერმერული, ასევე ინდუს-
ტრიული სფეროები იზრდება და
ფართოვდება მსოფლიო საბაზრო
ფასებზე დაყრდნობით.

რეფორმების მესამე სფერო
იყო საგადასახადო რეფორმა.
ჩვენ გავაუქმეთ სავაჭრო გადასა-
ხადები, რათა ყველა პროდუქცია
თანაბრად დაბეგრულიყო. ახალ
ზელანდიაში არსებული საბითუმო
სავაჭრო გადასახადი ძალიან
არასრულყოფილი იყო. ჩვენ შე-
მოვიტანეთ პროდუქციისა და
მომსახურების გადასახადი, ანუ
თუ გნებავთ დღ.გ., ყველა პრო-
დუქტზე თანაბარი განაკვეთით
მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფი-
ნანსური სერვისების გარდა. ჩვენ
შევამცირეთ საშემოსავლო გადა-
სახადების ზღვარი ერთ დოლარ-
ზე 66 ცენტრიდან 33 ცენტრამდე,
ხოლო ახალი ზელანდიის მოსახ-
ლეობის უმეტესობა იბეგრება
19.5 ცენტრით. ამჟამად კომპანიისა
და კერძო პირის გადასახადები
გათანაბრებულია. ძველი ყავლ-
გასული რეჟიმი, რომელიც ზოგი-
ერთ ინდუსტრიის მიმართ ფავო-
რიტიზმით გამოირჩეოდა, საბო-
ლოდ ჩაბარდა ისტორიას.

ინფრასტრუქტურის რე- ფორმები. რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო

მთელი რიგი მნიშვნელოვანი
ცვლილებები განხორციელდა
ტრანსპორტისა და კომუნიკაციე-
ბის სფეროში. რკინიგზის მიმართ
ყველა პროტექციონისტული მე-
ქანიზმი მოიხსნა. მანამდე ახალ
ზელანდიაში რკინიგზა სრული
პროტექციის ქვეშ იმყოფებოდა.
ჩვენ შევწყვიტეთ პორტების რე-
გულირება და მოვახდინეთ მათი
პრივატიზაცია. ტვირთის ფასები
და საპორტო ხარჯები რეალურად
შემცირდა 50 პროცენტით.
საშინაო ბაზარზე ავია-კომპა-
ნია Air New Zealand-ის მონოპო-
ლია შეიცვალა - ავსტრალიის
ავია-კომპანია ANZI-სთან კონკუ-
რენციით. მოგვიანებით მოხდა Air
New Zealand-ის პრივატიზაცია.

კონკურენტულ და ტენდე-
რულ საფუძველზე გადავიდა სა-
ავტოზოლო მიმოსვლა. ჩვენ და-
ვუშვით თავისუფლება ტაქსების
მომსახურებაში. აქ აღარ არის
არც გადასახადი და არც ლიცენ-
ზია.

ასევე გაიყიდა სატელეკომუ-
ნიკაციო კომპანია Telecom New
Zealand-იც. ყოველივე ამის შე-
დეგი კი ის იყო, რომ ფასებმა დაბ-
ლა დაინია. შიდა კომუნიკაციები
გახდა უფრო სწრაფი, ზოგიერთ
მემთხვევაში იმას, რასაც მანამდე

ნარმატიბული ეკონომიკური რეფორმის პეფასაბის კრიტიკიუბი

DI1 გვარდიდა

სჭირდებოდა ერთი თვე, ამჟამად ერთი დღეც ჰყოფნის. შრომის სამინისტრო, რომელსაც მონოპოლია ჰქონდა აქტიუბინა ყველა შენობა ახალ ზელანდიაში, და ა.შ., ჯერ კორპორაციადა გადაკეთდა და შემდეგ პრივატიზებულ იქნა. ტელე-რადიო სპექტრი აუქციონზე გაიყიდა იმათზე, ვინც ყველაზე ძვირი გადაიხდა. ჩვენ, ალბათ, ყველაზე მეტი რადიო სადგური გვაქვს, ვიდრე სადმე მთელ მსოფლიოში.

კონკურენტული პოლიტიკა

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობენ ექსპერტები, რომლებიც დეტალურად სწავლობენ სხვადასხვა მონოპოლიების ან სერვისების დომინანტური მიმწოდებლების მოღვაწეობას. მათი საქმიანობაა მონოპოლიების ოპერაციების შესწავლა და მანიპულირებისაგან ბაზრის დაცვა. მაგრამ ახალ ზელანდიაში არ გვაქვს ასეთი ექსპერტები. სამაგიეროდ, ჩვენ ვეყრდნობით კონკურენტულს, რომელსაც იცავს ბაზარზე შესვლის ყველა სახის ხელშეწყობით ნების, რომელიც არ უშვებს, რომ ბაზარზე მონოპოლისტური კონტროლი დაწესდეს. მთავრობას არ მოუხდენია არც ერთი სანარმოს პრივატიზაცია, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ამ სფეროში იქნებოდა რეალური კონკურენცია. მთავრობა სწორედ კონკურენტულს ეყრდნობა, როგორც ძირითად წყაროს ფასების მკვეთრი ზრდის პროფილაქტიკისათვის. ჯერჯერობით, ეს ნდობა ამართლებს. ამის ძირითადი დადასტურება არის ფასების შემცირება წარსულში მთავრობის მიერ კონტროლირებადი სანარმოების პროდუქციაზე და კონკურენტული გაუმჯობესება ახალი ზელანდიის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.

ფინანსური ბაზრების ცვლილებები

ფინანსურ ბაზრებზე შესვლის კონტროლი გაუქმდა. ახლა მსოფლიოს ნებისმიერ ბანკს, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს თავისი ფინანსური სიმყარე, შეუძლია აილოს ლიცენზია ახალ ზელანდიაში. ჩვენ გავაუქმეთ ფორმალური კონტროლი ბანკებზე და ფინანსურ შუამავლებზე, როგორცაა მაგალითად, პროცენტის სპეციალური ნორმები ან ინვესტიციების შეზღუდვა განსაზღვრულ სექტორებში. ინფლაციის კონტროლის ამოცანა არის მისი შენარჩუნება ნულიდან სამ პროცენტამდე და არსებობს საჯარო კონტრაქტი ფინანსთა სამინისტროსა და სარეზერვო ბანკის მმართველს შორის ამ მიზნის მისაღწევად.

სარეზერვო ბანკს აქვს მოქმედების დამოუკიდებლობა. შრომის ბაზარზე სხვადასხვა სახის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გავატარეთ, ასეთი იყო: უფრო სწორბაზოვანი სავადასახადო შკალის შემოღება; სოციალური დაცვის გადახდების შემცირება და მათი მიმართვა იმათზე, ვისაც ეს მართლა სჭირდებოდათ. ადრესატების განსაზღვრა ხდება უფრო მკაცრი კრიტერიუმებით; სანერ-

თნელი კურსები და სწავლება უმუშევრებისათვის.

სანარმოო

ურთიერთობის კანონი

ადრე ჩვენ გვქონდა სანარმოო ურთიერთობის მკაცრად რეგულირებული და ცენტრალიზებული სისტემა. კანონი ინარჩუნებდა სავალდებულო ნევრობას პროფესიულ კავშირებში, ეროვნულ სახელფასო ნორმებს სხვადასხვა პროფესიებისათვის, რასაც ჩვენ პრემიებს ვეძახდით და სავალდებულო არბიტრაჟს საკამათო შემთხვევებში. დასაქმების სფეროში ძალიან შეზღუდული იყო მოქნილობა და სამუშაოების შეფარდებაები ძალიან ხისტი იყო. ამდენად, ხელფასები ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. 1990 წლებში მთელი რიგი ცვლილებები გატარდა, მაგრამ 1991 მიღებული დასაქმების კონტრაქტების კანონი მათ შორის, ალბათ, უმნიშვნელოვანესი იყო.

დღეს უკვე ჩვენ გვაქვს თავისუფალი პროფკავშირი. ახალმა კანონმა გააუქმა სავალდებულო პროფკავშირები. სანაცვლოდ კანონი გულისხმობს, რომ მოსამსახურე ინდივიდუალურად ანარმოებს მოლაპარაკებას დამქირავებელთან. ის ნებას აძლევს მოსამსახურეს, დაიქირაოს აგენტი ხელფასის პირობების შესათანხმებლად. ეს აგენტი შეიძლება იყოს და, ძირითადად, არის კიდევ პროფკავშირი, თუმცა ეს არ არის ერთადერთი შესაძლო აგენტი.

ჩვენ გვაქვს სანარმოო შეთანხმებებიც. ასევე გავაუქმეთ ეროვნული საპრემიო სისტემა. სანაცვლოდ, ხელფასების შეთანხმება ხდება სამუშაო კონტრაქტების მიხედვით. დამქირავებლებს და მათ პერსონალს პირველად მიეცათ საშუალება, საკონტრაქტო მოლაპარაკება ანარმოონ მათი კონკრეტული სამსახურის პირობების გათვალისწინებით. უკვე აღარ არის სავალდებულო, ერთი და იგივე პროფესიის ადამიანებს მიეცეთ ერთნაირი ხელფასები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასეთმა მოქნილობამ სისტემამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამუშაო ადგილები ახალ ზელანდიაში. ახლა უკვე გვაქვს მყარი საკონტრაქტო პირობები. ყველა კონტრაქტი გათვალისწინებულია გარკვეული ვადა, რომელიც განისაზღვრება კონტრაქტორი მხარეების მიერ. კონტრაქტის მოქმედების ვადაში გაფიცვა ან სანარმოს დაზურვა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების სანინააღმდეგოდ, არაკანონიერ ქმედებად ითვლება. ამან განაპირობა სამენარმეო ურთიერთობების სიმყარე.

მთლიანობაში ყველა ეს ცვლილება ხელს უწყობს ახალი სტიმულების, და შესაძლებლობების გაჩენას პროდუქტიულობის გაზრდისა და დასაქმების საშუალებით.

სამთავრობო რეფორმა იყო ცვლილების მეოთხე სფერო

ბევრისათვის სამთავრობო ადმინისტრირება არის რაღაც ეზოთერული საგანი, რომელსაც არ თვლიან ეკონომიკური მენეჯ-

მენტის ცენტრალურ ნაწილად. ახალ ზელანდიაში ჩვენ სანინააღმდეგო შეხედულება გვაქვს. ჩვენ ვთვლით, რომ შეუძლებელია ეკონომიკური პროცესის ეფექტიანობის მიღწევა, თუკი ეკონომიკური ურთიერთობების უდიდესი მონაწილე, მთავრობა, არაეფექტიანია.

სამთავრობო დანახარჯები ახალი ზელანდიის ბიუჯეტში შეადგენს 30 პროცენტზე მეტს. ამდენად ექსპორტიორებისათვის შეუძლებელია საერთაშორისო კონკურენტის შენარჩუნება, თუ ამისათვის საჭირო სამთავრობო მომსახურება არაეფექტიანია. ახალი ზელანდიის მთავარი რეფორმები მთავრობასთან მიმართებაში სამ სფეროში განხორციელდა: პირველ რიგში, ჩვენ გავაკეთეთ სამთავრობო დეპარტამენტების კორპორატიზაცია და შემდეგ პრივატიზაცია. მაგალითად, რკინიგზის სისტემაში ტვირთგადაზიდვის ხარჯები შემცირდა 50 პროცენტით. 1984 წელს ამ სისტემაში მუშაობდა 22000 ადამიანი. დღეს კი მათი რიცხვი 4500-ია და ტვირთგადაზიდვაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. იგივე ეხება პორტებსაც და მთელ რიგ ყოფილ სამთავრობო სტრუქტურებს. მოგვიანებით ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით.

მეორე სფერო არის დასაქმება საზოგადოებრივ სექტორში. სამთავრობო მენეჯმენტის ცვლილებები განხორციელდა ინსტიტუტურ სტრუქტურებში და დასაქმების სისტემაში. მანამდე ჩვენ გვქონდა სისტემა, რომელშიც მთელი სიცოცხლის ვადით დანიშნული მომსახურეები მუშაობდნენ ადმინისტრატორებად და ახორციელებდნენ სამთავრობო პოლიტიკას. ისინი იყვნენ მთელი სიცოცხლის ვადით იმდენად, რამდენადაც მათი გათავისუფლება ვერ ხერხდებოდა. ჩვენ გადავიდით სისტემაზე, სადაც მთავარი შტატი მუშაობს არა უმეტეს ხუთწლიანი კონტრაქტის საფუძველზე და ხელფასი განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მაღალი რანგის მომსახურეებისათვის ჩვენ ვაკანსიებს ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, ჩვენს მიერ გამოცხადებული ხაზინის თავმჯდომარისა და ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაკანსიებზე ყველა მსურველის განცხადება განიხილებოდა. ეს იყო უდიდესი ცვლილება. საჯარო მომსახურეებს ენიშნება პრემიები და არ მგონია, რომ რომელიმე დეპარტამენტს დღეს გადაჭარბებული ხარჯები ჰქონდეს. დეპარტამენტის ხელმძღვანელს არ უნდა მისი პრემიის დაკარგვა.

ცვლილების კიდევ ერთი სფერო, რომელზეც შეგჩერდები, არის სამთავრობო ფინანსური მენეჯმენტი. ჩვენ გადავიდით ანგარიშების სისტემიდან, რომელიც იწყებოდა მარტში და ეყრდნობოდა ნაღდი ფულის საბუღალტრო მეთოდს და ფოკუსირდებოდა შენატანებზე, სისტემაზე, რომელიც იწყებოდა ივნისში და ეყრდნობოდა დარიცხვის მეთოდს და ორიენტირებული იყო შედეგებზე. ეს იყო დრამატული ცვლილება საბუღალტრო საქმეებში და მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხში ყველა ასპექტში. ამის სიმბოლური გამოხატვა არის

მთავრობის ბალანსი და მოგება-ნაგების ანგარიში. მე ვერ შევძლებ ისე დეტალურად ვისაუბრო ამ საკითხზე, როგორც მე ეს მსურს, მაგრამ ნება მომეცით შევეხო ერთ ან ორ ასპექტს. საჯარო დანესებულებების საბუღალტრო სისტემის რეფორმის სიღრმისეული მიზეზი არის ქონების გამოყენებისა და მენეჯმენტის და პროდუქციის წარმოებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების სრულყოფილი საშუალების შექმნა.

მთლიანობაში ფინანსური რეგლამენტაცია თავიდან შეიქმნა, რათა პასუხი გასცემოდა მთელ რიგ შეკითხვებს მენეჯმენტის საფუძვლების სფეროდან. რას ვყიდულობთ? ძველი სისტემის პირობებში ჩვენ ვიღებდით ხარჯებს, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა, თუ რისთვის ვიღებდით ამ ხარჯებს. ჩვენ ასევე ვიკითხეთ, რა ღირდა ეს? ძველი სისტემის პირობებში ჩვენ ვიცოდით, რამდენი გადაიხადეთ ყველა მოცემული წლისათვის, მაგრამ არ გავიანდა საზომი მიმდინარე ფასებისათვის. რისთვის გამოიყენება კაპიტალი? ვინ არის პასუხისმგებელი? ეს იყო ის კითხვები, რომელიც ჩვენ დავსვით და პასუხიც გავეცით.

რა ცვლილებები გატარდა ჩვენს მიერ? ახლა ჩვენ გვაქვს კონტრაქტები შედეგისთვის. გვაქვს კონტრაქტების სისტემა მინისტრთან. პოლიტიკოსები უკავშირდებიან დეპარტამენტს შედეგის შექმნის მიზნით. მინისტრის გადასანყვეტია, თუ რა სოციალური მიზნის მიღწევა დასახული. მასვე ევალება, შეარჩიოს, თუ რა შედეგის შექმნა სურს დეპარტამენტისაგან. ხაზინის შემთხვევაში, რომლის მინისტრიც მე ვიყავი, ყველა სფეროში, იქნებოდა ეს წარმოება, სოციალური პოლიტიკა, თუ სავადასახადო, ჩვენ გავაკეთეთ ჩამონათვალი, თუ რა ენაჭიროებოდა სხვა ან ჩვენს დეპარტამენტს. მომდევნო სვეტში ჩვენ ჩამოვწერეთ, რამდენი იქნებოდა საჭირო თითოეული საკითხისადმი, რათა ეს ყველაფერი ქვეყნის ინტერესებში ყოფილიყო. შემდეგ სვეტში მივითითეთ, რა დრო დაჭირდებოდა ხაზინას ყველა ამ პოლიტიკის გატარებისათვის. ამის შემდეგ კი ვანარმოეთ გათვლა - რა დაუჯდებოდა ქვეყანას ამ პოლიტიკის განხორციელება. ასეთი მიდგომა კონცენტრირებული იყო უფრო იმაზე, თუ რისი მიღწევა გვინდოდა და არა ის, რისი მიღწევა შეგვეძლო.

ჩვენ, ალბათ, ვართ ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც ყოველ ექვს თვეში აქვეყნებს მოგება-ნაგების ანგარიშს და ბალანსს დარიცხვის მეთოდით. ამდენად, ანგარიშგება და პასუხისმგებლობა ახლა მკვეთრად არის განსაზღვრული.

რა იყო ამ პოლიტიკის შედეგები? რა მივიღეთ?

სამთავრობო ხარჯვის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში პიკს მიაღწია 1991 წელს და დაახლოებით შეადგინა 43 ან 44 პროცენტი. დ.დ.გ. შემცირდა 33 პროცენტამდე და მთავრობას დაგეგმილი აქვს მისი შემცირება 30 პროცენტის ქვემოთ. მთავრობამ

1995 წელს პირველად მიაღწია ფისკალურ გადაჭარბებას 17 წლის განმავლობაში. როდესაც ვლაპარაკობ ფისკალურ გადაჭარბებაზე, მხედველობაში არ მაქვს ქონების გაყიდვიდან შემოსული მოგება. თუკი ამას გავითვალისწინებდით მაშინ ფისკალური გადაჭარბება 1985 წლიდან გვქონდა.

წმინდა სახელმწიფო დავალიანება ამჟამად შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტს, რომლის პიკიც - 50 პროცენტზე მეტი, დაფიქსირდა 1991 წელს. ვალების მომსახურების წილი სამთავრობო შემოსავლებთან მიმართებაში 20 პროცენტადან 10 პროცენტამდე შემცირდა. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია აცხადებს, ჩვენი სავადასახადო სისტემა ყველაზე ნაკლებ მანკიერია მთელ მსოფლიოში.

კიდევ რა შედეგები იყო? პირველი და უმთავრესი იყო ინფლაციის შემცირება. მეორე - ეკონომიკური ზრდა იქ, სადაც მანამდე ეს არ გვქონდა. რეფორმების დაწყების მომენტიდან მან მიაღწია ორ-სამ პროცენტს თავდაპირველად, შემდეგ ავიდა ოთხი ქვეს პროცენტამდე გარკვეული პერიოდის მანძილზე, და ახლა კვლავ დაუბრუნდა ორ-სამ პროცენტს. ექსპორტის ზრდა აღინიშნებოდა პროდუქტების წარმოების სფეროში, რომელიც ყოველწლიურად რეალურად იზრდებოდა დაახლოებით 15 პროცენტით. ერთ-ერთი საინტერესო რამ, რაზე ლაპარაკის დროც სამწუხაროდ არ მაქვს, არის გაძლიერებული და ტრანსფორმირებული ეკონომიკის რეგიონული სურათი ახალ ზელანდიაში. 70-80-იანი წლების სტაგნაციის პერიოდში ახალ ზელანდიაში იყო რამდენიმე რეგიონი, რომელიც განსაკუთრებით მწვავე კრიზისს განიცდიდა. ამჟამად კი ისინი ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონების რიგებში არიან. მათი აღმავლობა შედეგია სამუშაო ბაზარზე არსებული მოქნილი პოლიტიკის, შემცირებული სატრანსპორტო ხარჯების, დაბალი კაპიტალ-ფასების, და გაუმჯობესებული კონკურენტული ფაქტორების საშუალება მისცა მოვაჭრებს, საექსპორტოდ ენარმოებინათ პროდუქცია და გაეყიდათ მსოფლიო ბაზრებზე, რაც შეუძლებელი იყო 70-80 წლებში. ფაქტობრივად ეკონომიკური აღმავლობა განაპირობა ზუსტად ამ რეგიონებმა და არა დიდმა ქალაქებმა ოკლენდმა და ველინგტონმა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას. რეფორმის შედეგად ფასები შემცირდა ძირითადი ინფრასტრუქტურების მომსახურებაზე. პორტის ექსპლუატაციის ფასები შემცირდა 60 პროცენტით. სარკინიგზო ფრახტი რეალური ზომებით შემცირდა 50 პროცენტით. სამთავრობო ადმინისტრაცია ისეთ სამთავრობო დეპარტამენტებში, როგორიც არის ჯანდაცვა, ხაზინა, თავდაცვა - შემცირდა. საშტატო ერთეულების რიცხვი 88.000-დან 34.000-მდე შემცირდა და ისინი ბევრად ეფექტიანია.

D12 გვერდიდან

რა პოლიტიკური და ეკონომიკური გაკვეთილები სწავლა შეიძლება ახალი ზელანდიის გამოცდილებიდან სტრუქტურული ცვლილებების სფეროში?

პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, არის სხვადასხვა პოლიტიკის ინტერაქტიულობა, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცალკეულ პოლიტიკას. არ არსებობს რაიმე ჯადოსნური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის აღმავლობას. ჩვენ შემთხვევაში ცხადი იყო, რომ პოლიტიკა, რომელიც გავატარეთ პროდუქციის ბაზარზე, შეთანხმებულად მუშაობდა შრომის ბაზარზე გატარებულ პოლიტიკასთან, ისევე როგორც ფინანსური ბაზრის, და სამთავრობო სექტორის რეფორმებთან. ჩვენ რომ გავკვეთარებინა რეფორმა სასაქონლო ბაზარზე, - ცალკე აღებული, ეს პოლიტიკა ნამდვილად არ იქნებოდა წარმატებული. მეორე, რაც მინდა აღვნიშნო, არის ის, რომ თუ თქვენ აპირებთ რეფორმის დაწყებას, ის უნდა იყოს მასშტაბური. აზრი არაა აქვს ზოგიერთი სფეროს გაუმჯობესებას, მაშინ როდესაც სხვა სფეროები ხელუხლებელი რჩება. ასეთ შემთხვევაში გაურკვეველობა, რომელსაც შექმნით, უფრო საზიანო იქნება, ვიდრე ის სარგებლობა, რომელიც მცირეოდენ ცვლილებებს მოყვება შედეგად.

კიდევ ორი რამ, რასაც მინდა შევეხო. პოლიტიკოსებმა არასწორად არ უნდა შეაფასონ მოქალაქეების ადაპტაციის უნარი. 1984 წელს ახალ ზელანდიაში ფერმერების შემოსავლის სამიდან ერთი დოლარი მოდიოდა მთავრობისგან. დღეს ეს ციფრი ნულს უდრის. მაშინ, როდესაც ისინი კარგად იყვნენ მთავრობის მხარდაჭერას, ჩვენი ვალუტის კურსი მაღლა იწევდა. მასხვს გაერთიანებული ფერმერების პრეზიდენტი მოვიდა ჩემთან შეხვედრაზე 1985 წლის 1 მარტის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ჩვენმა დოლარმა 43 აშშ ცენტრიდან 48-მდე აიწია, და მითხრა: "43 ცენტზე ფერმერებს ძლივს გაჰქონდათ თავი, 48 ცენტრი კი საერთოდ ნონსენსია." ჩვენ წყნარად ვისაუბრეთ და ჩვენი განსხვავებული პოზიციების დაფიქსირების შემდეგ მან დატოვა ჩემი კაბინეტი. დაახლოებით, ექვსი თვის შემდეგ ის კვლავ მოვიდა. მაშინ უკვე ჩვენი დოლარი 55 ცენტრის ტოლი იყო და მან მითხრა: "48 ცენტს არა უშავდა, 55 სასაცილოა." სამი თვის შემდეგ, ის 60 ცენტრი გახდა და მან მითხრა რომ 60 ცენტრი შეუძლებელი იყო. როდესაც ახალ ზელანდიური დოლარი 70 ცენტრი გახდა და მე ოფისს ვღვრიდი, მან მითხრა რომ 60 ცენტს არა უშავდა. ასე რომ, გეთაყვა, ნუ შეაფასებთ არასწორად ხალხის უნარს, ადაპტირება მოახდინოს ცვლილებებთან, თუ ისინი რეალურია.

შემდეგი, რაც მინდა გითხრათ არის ის, რომ რეფორმას ლუპავს არა სიჩქარე, არამედ გაურკვეველობა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილება მიღებული. თუ მათ სჯერათ, რომ შეუძლიათ თქვენი გადარწმუნება, მაშინ მთელი მათი მცდელობა მიმართული იქნება თქვენთვის აზრის შეცვლაზე და ძველი წესრიგის აღდგენაზე. რეფორმა მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, თუ ხალხს სჯერა, რომ თქვენ მას ბოლომდე მიიყ-



ველინგტონის ხედი.

ვანთ. მაშინ ისინი ნამდვილად ადაპტირდებიან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ნებისმიერი რეფორმისათვის არის ეფექტიანობა.

პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანობა. ამაში გვეულის ხმობ: პროდუქცია და საქონლის და სერვისის მოხმარება მაქსიმიზებული უნდა იყოს რესურსების მინიმიზაციასთან ერთად. ეს მიზანი აკმაყოფილებს ყველას, ბუნების დამცველების ჩათვლით. მაგალითად, ჩემს პირველ ბიუჯეტში გავზარდე ელექტროენერჯის ფასი 28 პროცენტით, გზის მოხმარების ხარჯი 48 პროცენტით. ყოველივე ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ ეფექტიანად დაწყებულიყო რესურსების მოხმარება. როდესაც ელექტროენერჯიაზე დავანესეთ საბაზროზე დაბალი ფასი, ინვესტირებმა ფული დააბანდეს საწარმოებში, რომლებიც ელექტროენერჯის დიდი მოხმარებლები იყვნენ, მაგრამ, რომელთაც გრძელვადიან პერსპექტივაში, შეაძლოა, არ მოეცხანათ შედარებითი სარგებელი.

გზის მოხმარების ხარჯის გაზრდა 48 პროცენტით სრულიად სხვა - ნეიტრალური პრინციპზე იყო დაფუძნებული. გზის მოხმარებლები იხდიდნენ სრულ ფასს ყველა საგზაო დაზიანებისათვის. ამავე დროს, ჩვენ გავაუქმეთ პრივილეგიები, ან თუ გნებავთ პროტექცია, რომელიც რკინიგზას გააჩნდა და შემოვიტანეთ ლია კონკურენცია. გავაუქმეთ გზებზე მოძრაობის სიჩქარის 40-მილიანი ლიმიტი. ამის შედეგი იყო ის, რომ ტვირთგადაზიდვის ხარჯები 50 პროცენტით შემცირდა. შტატები შემცირდა 22.000-დან 4.500-მდე. მეორე მხრივ, ბევრმა მენარმემ, რომლებსაც ადრე დიდი ხარჯების გამო არ შეეძლოთ საზღვარგარეთ გაეყიდათ პროდუქცია, უცბად აღმოაჩინეს, რომ ეს შესაძლებელი გახდა. ამის შედეგად გაიზარდა არა მხოლოდ რეგიონული აღმავლობა, არამედ სამუშაო ადგილების რაოდენობაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ახალი ზელანდიის გამოცდილებიდან არის გამჭვირვალობა.

ეს ცვლის, როგორც პოლიტიკოსების, ასევე სამოქალაქო მომსახურების ხედვას. მოვიტან ერთ

მაგალითს. როდესაც საჯარო საწარმოები გადაეცადა კორპორაციებად, რომელთა რიცხვი 10 იყო, ჩვენ მათ ვუთხარით - "მომავალში, როგორც კორპორაციებს, თქვენ გევალებათ ერთი რამ, თქვენ იმოქმედებთ კერძო სექტორში, და დაექვემდებარებით იგივე წესებს და კანონებს, რასაც კერძო სექტორის სუბიექტები ექვემდებარებიან. დღეიდან თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთი მიზანი: მიიღოთ მოგება. მთავრობა თქვენგან მოელის იგივე მოგების მოტანას თქვენში ჩვენს მიერ ინვესტირებული კაპიტალის ხარჯზე, რამდენსაც - კერძო სექტორი. თუ თქვენ გაატარებთ სოციალურ პოლიტიკას (და მათ ყველას ჰქონდა ამის პრეტენზია, რაც, როგორც ისინი აცხადებდნენ, იყო მიზეზი იმისა, რომ ისინი მოგებას ვერ ქმნიდნენ), მაშინ უნდა მოხვიდეთ ჩვენთან და შეგვითანხმდეთ, გვინდა თუ არა, რომ გააგრძელოთ ეს საქმიანობა. თუ გვინდა, მაშინ გადავიხდით, თუ არა - უნდა შეწყვიტოთ."

და იცით რა მოხდა? თავდაპირველად 10-დან მხოლოდ ერთი კორპორაცია მოვიდა და მოითხოვა სუბსიდირება. მიზეზი, რის გამოც დანარჩენები არ მოვიდნენ, იყო ის, რომ მათ აღმოაჩინეს, ღია კონკურენციის პირობებში ის, რასაც ისინი სოციალურ მომსახურებას უწოდებდნენ, ფაქტიურად, იყო კარგი ბიზნესი. ის ერთი კი, რომელიც მოვიდა იყო, ფოსტა. მათ თქვეს - "ჩვენ გვაქვს 467 საფოსტო ოფისი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ბიზნესის რვა პროცენტს იძლევა. ისინი არ არის მომგებიანი. ჩვენ ხვალე დაეხურავთ მათ კომერციული მოსახურებებიდან გამომდინარე. გინდათ, რომ ასე მოხდეს, თუ გინდათ სუბსიდირება?" ვკითხეთ: რამდენი იყო საჭირო, გვიპასუხეს: 80 მილიონი დოლარი, ჩვენ შევთავაზეთ 20 მილიონი. საბოლოოდ შევთანხმდით 40 მილიონზე. ხუთი თვის შემდეგ, როდესაც ბიუჯეტს ვადგენდით, გადავწყვიტეთ, რომ ამ 40 მილიონი დოლარის დახარჯვა აჯობებდა განათლებას და ჯანდაცვაზე. დაეხურეთ 467 საფოსტო ოფისი ერთ დღეში. ეს შესაძ-

ლებელი გახდა გამჭვირვალობის საშუალებით. ეს არ იყო პოპულარული სვლა, მაგრამ ამის გაკეთება ჯობდა ერთ დღეში, ვიდრე 467 დღეში. 10 წლის გადასახედიდან ჩანს, რომ საფოსტო ოფისები ამჟამად უფრო მეტია - 500, იმ 467-ის ნაცვლად, რომელიც ჩვენ დაეხურეთ. ახლა ისინი კერძო სექტორში მომუშავე სააგენტოებია და დასაქმებული ჰყავთ ხალხი.

შემდეგი საკითხი არის სახელმწიფო დაკვეთების კერძო სექტორში გადატანა.

ეს არის პრივატიზების კარგი ფორმა. მაგალითად, ჩვენ გვექონდა სამთავრობო სტამბა, რომელსაც მონოპოლია გააჩნდა სამთავრობო დეპარტამენტების ყველა საბეჭდო სამუშაოზე. ჩვენ იგი გავაუქმეთ. შემდეგ ვაყიდეთ ეს სტამბა და ამჟამად სამუშაოები სრულდება კერძო სექტორში. შედეგი იყო უფრო დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი, და მრავალფეროვნება.

ბევრი მიუთხრობს - "თქვენ ლეიბორისტული პოლიტიკოსი ხართ. თქვენს პარტიას მხარი დაუჭირა პროფკავშირებმა, როგორ შეგეძლოთ ამ ყველაფრის გაკეთება?" მე მათ ვპასუხობდი, რომ თუ მოინდომებთ, შეაჯამოთ ყველა ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ განვახორციელებთ 1984-87 წლებში, მე შემიძლია ეს გადმოვცე სამი სიტყვით: ჩვენ გავაუქმეთ პრივილეგიები. მთავრობა არ არის არჩეული კერძო ჯგუფების ინტერესების დასაცავად. მთავრობა გახდა უფრო ეფექტური. გარიგება ასეთი იყო: თქვენ დაკარგეთ პრივილეგიები, მაგრამ მოგებული ხართ, რადგანაც ყველას პრივილეგიები გაუქმდა.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ ხარისხიან გადაწყვეტილებას მოაქვს სასურველი შედეგი.

ყოველი ცვლილების წინ ჩვენ თავს ვეკითხებოდით, იყო თუ არა ეს ახალი ზელანდიის ინტერესებში? პოლიტიკური პრობლემა, რომელსაც თქვენ შეხვდებით ასეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს, არის ის, რომ დანახარჯები ყოველთვის წინ წამოწეული და ადვილად დასანახია. შედეგების დანახვას კი დრო სჭირდება და ყოველთვის ისეთი ნათელი არ არის. მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ დაკარგეთ 18.000 სა-

მუშაო ადგილი რკინიგზაში, მაგრამ ვერ გეტყვით, საიდან მოვიდა ახალი 100.000 სამუშაო.

სადაც კი ხარისხიანი გადაწყვეტილება იყო მიღებული, პოლიტიკური პრობლემები საბოლოოდ წყდებოდა. მაგრამ სადაც კომპრომისები დაეუშვით, სადაც შუა გზაზე შეეჩერდით, და უხარისხო გადაწყვეტილება მივიღეთ, იქ პრობლემები კვლავ რჩება. განსაკუთრებით ეს ეხება ჯანდაცვას, განათლებას და სოციალურ უზრუნველყოფას.

ვფიქრობ, აქ შემიძლია შევეჩერდე. ბოლო შენიშვნებში მივეუბნებ, რომ ახალ ზელანდიაში ყველა პრობლემა ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ნათელია, რომ ჯერ კიდევ ბევრი დაუმთავრებელი საქმეა. ძირითადად ისინი სოციალური პოლიტიკის სფეროდანაა, ანუ ჯანდაცვა, განათლება და სოციალური უზრუნველყოფა. აქ მე ვგულისხმობ პენსიებს, ჯანმრთელობის საკითხებს პენსიაზე გასვლის შემდეგ, უმუშევრობის დახმარებას, ავადმყოფობის და უბედური შემთხვევების ხარჯებს და ა.შ.

ეს ის სფეროა, რომელიც ჩვენ არ მოგვივარება. ეს ის სფეროა, სადაც მთავრობას სურს შეინარჩუნოს მონოპოლისტი მიმწოდებლის პოზიცია. ვიდრე არ დაეინყებთ ამ სფეროების მართვას ისევე, როგორც ეს გავაკეთეთ რკინიგზისა და ფოსტის შემთხვევაში, ჩვენ პრობლემებს ვერ გადავჭრით.

ჩემთვის პასუხი შედარებით ნათელია. ჩვენ კვლავ უნდა მივმართოთ თითოეულ ახალ ზელანდიელს. ფული, რომელსაც მთავრობა ახლა ხარჯავს მათი სახელით ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე, უნდა დარჩეს ხალხს, რათა უზრუნველყონ თავიანთი თავი.

ფაქტიურად, მე ვთვლი, რომ დაზღვევის ბიზნესი ამ სფეროების უმრავლესობაში საკმაოდ კარგად იმუშავებდა.

ლექციის ტექსტი მოგვანოდა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ: „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო“.

თარგმანი: მაკა წულუკიძე; რედაქტირება: პაატა შქელიძე, ვია ჯანდიერი

აზერბაიჯანის პრობლემები - უხერხული ანალოგიები ქართულ სინამდვილესთან

აზერბაიჯანი თავისი ეკონომიკური განვითარებით საქართველოს მინიმუმ 10 წლით უსწრებს წინ. ამის მიზეზი მარტო ნავთობი არ არის. აზერბაიჯანის მთავრობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის ბოლო ათი წლის მანძილზე უამრავ კომპრომისზე წავიდა. სამაგიეროდ, ქვეყანამ მოახერხა მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია და ახლა საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას დამოუკიდებლად აწარმოებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის უარყოფს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნებს. მიღწეული წარმატებების შესანარჩუნებლად ბაქოს მათი მხარდაჭერა კიდევ დიდხანს დასჭირდება.

მანია ურუხაძე

სავალუტო ფონდი და ფისკალური პოლიტიკა

ერთი თვის წინ სავალუტო ფონდმა აზერბაიჯანს 100 მილიონ დოლარად შეფასებული პროგრამის დაფინანსება შეუწყრა. ეს გადაწყვეტილება სავალუტო ფონდმა აზერბაიჯანის მთავრობის მიერ წარმოებული არასწორი ფისკალური პოლიტიკით ახსნა. აზერბაიჯანის სავალუტო ფონდის წარმომადგენელი მაიკლ მარტი მიიჩნევს, რომ სავალუტო ფონდი აზრს მანამ არ შეიცვლის, სანამ ქვეყნის ხელისუფლება ეკონომიკური პრიორიტეტების მიმართ მიდგომას არ შეიცვლის. ამ გადაწყვეტილების გამო აზერბაიჯანს დიდად არ უნერვიულობს. ბაქოს თავისი სავალუტო რეზერვები საკმარისად აქვს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში განევიანების შემდეგ სავალუტო ფონდმა ბაქოს 45,5 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების ექვსი პროგრამა დაუფინანსა. მეშვიდე და უკანასკნელი - სამ წელიწადზე გათვლილი სილარის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამა, 100 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ეს პროგრამა ძალაში შევიდა გასული წლის ივლისში. 10 მილიონი დოლარის საერთო ოდენობის ორი ტრანში ბაქომ უკვე მიიღო. დაფინანსების შეწყვეტის მიზეზად ალიევის ადმინისტრაციის მიერ ფონდის რეკომენდაციების უგულვებელყოფა იქცა. ბაქო მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანს სავალუტო ფონდის კრედიტების გარეშეც საკმარისი თანხები აქვს, ამდენად ფონდის რეკომენდაციების შესრულება მათთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. მაგრამ, ასე არ ფიქრობს სავალუტო ფონდის წარმომადგენელი აზერბაიჯანში მაიკლ მერედი: „იმ სახსრებთან შედარებით, რაც აზერბაიჯანს აქვს, სავალუტო ფონდის კრედიტი არც ისე დიდი თანხაა. მაგრამ სავალუტო ფონდი - გლობალური ინსტიტუტია და მისი მხარდაჭერა ხელისუფლებას დაეხმარებოდა სხვა ინსტიტუტებსა და ინვესტორებთან ურთიერთობაში, მათ შორის მსოფლიო ბანკთან, ან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ინვესტორებთან.“

ფონდის უკმაყოფილება კი ორმა ფაქტორმა გამოიწვია. პირველი - აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის სახსრების წინასწარ შემუშავებული მკაფიო გეგმის მიხედვით არ იხარჯება. „2002 წელს ამ ფონდიდან 40 მილიონი დოლარის ხარჯვა დაგეგმილი, 2003 წელს ეს ხარჯი სამჯერ გაიზარდა. ამ სახსრების უკონტროლო ხარჯვა, შესაძლოა, ინფლაციის პრობლემა წარმოშავს. ჩვენ ისიც გვალე-

ვებს, რომ ნავთობის სახელმწიფო ფონდი ბიუჯეტისგან გამოცალკევებულია და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. ნავთობის ფონდის ფინანსები მხოლოდ სოციალურ პროგრამებსა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უნდა იხარჯებოდეს. თუ ის შიდა კომერციულ საქმიანობასაც მოხმარდება, სარისკო იქნება,“ - მიიჩნევს მაიკლ მერედი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აზერბაიჯანს ფონდთან დაკავშირებით მკაფიო კანონის მიღებას სთხოვს.

სავალუტო ფონდის უკმაყოფილებას ალიევის ადმინისტრაციის მიერ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიც იწვევს. ეს ცვლილებები რეგიონებისა და დარგების მიხედვით განსხვავებულ გადასახადებს გულისხმობს. „ჩვენი გამოცდილება მეტყველებს, რომ დიფერენცირებული საგადასახადო სისტემა რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე კი არა, გადასახადებისგან თავის არიდებამდე მიგვიყვანს: წარმოებები დარეგისტრირდებიან რეგიონებში, მაგრამ ბაქოში იმუშავებენ. დარგობრივი დიფერენციაცია კიდევ უფრო უარესია. ხელისუფლებას გაუჭირდება განსაზღვროს, რა შემოსავლები აქვს სხვადასხვა სახის საქმიანობებს. რთული საგადასახადო სექტორი არავითარ მიზანს არ მიაღწევს და თუ მომდევნო წლებშიც მსგავსი ცვლილებები განხორციელდება, ორისამი წლის შემდეგ საგადასახადო კოდექსი არაფერტურნი გახდება,“ - მიიჩნევს მაიკლ მერედი.

აზერბაიჯანის ეკონომიკური მდგომარეობის შედარება საქართველოსთან, უბრალოდ, სასაციო იქნებოდა - ამ ქვეყნის ეკონომიკური რეზერვები იმდენად დიდია, რომ ის ფონდის კრედიტებს აღარ ეშურება. სამაგიეროდ, ანალოგიები ჩვენს ფისკალურ პოლიტიკასთან ამკარად ჩანს. აზერბაიჯანის ფისკალურ პოლიტიკაში არსებული ის ტენდენციები, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაღიზიანებას იწვევს, არც საქართველოსთვის არის უცხო. რეგიონული თუ დარგობრივი შეღავათების მინიჭების პრეცედენტებით საქართველოს საგადასახადო კოდექსიც უხვადაა გაჯერებული. საბოლოოდ, უამრავი დამატებითი პრობლემა მთლიანად კოდექსის მოუქნელობასა და არაქმედითუნარიანობას იწვევს. სწორედ ესაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში ეკონომისტები საგადასახადო კოდექსის არაფერტურობაზე საუბრობენ და მის შეცვლას ითხოვენ.

აქედან გამომდინარე, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოსაც აქცევს ზურგს, მოულოდნელი არ იქნება. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებლობაზე დღეს უკ-



შეიქმნა ალიევი და ედუარდ შევარდნაძე ბაქოში.

ველიად საუბრობენ სახელმწიფო კანცლარიაში. აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს უცხოური დახმარება ჰაერივით ესაჭიროება. ამაზე ლიად მეტყველებს ისიც, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან შეპირებულ თანხებს საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტშიც კი ითვალისწინებს.

პრობლემები გაუმომარაგებაში

არაფერტური ფისკალური პოლიტიკა აზერბაიჯანულ ეკონომიკასთან ქართული სინამდვილის ერთადერთი ანალოგია როდია. არაფერტური პოლიტიკის წარმოებაში აზერბაიჯანს მასმედი, საქართველოს მსგავსად, გაზის სექტორშიც ადანაშაულებს.

ერთი შეხედვით, შესაძლოა, უცნაურადაც ჩანდეს, რომ სახელმწიფოს, რომელიც გაზის საკუთარი რეზერვების ტრანსპორტირებას ტრანსკასპიური გაზსადენის საშუალებით აპირებს, „ცისფერი ოქროს“ ქვეყნისშიდა დეფიციტი აქვს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „აზერბაიჯანი“ პერმანენტულად განიცდის გაზის დანაკლისს, რომლის შევსებასაც არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენთვის კარგად ნაცნობი „იტერას“ საშუალებით ცდილობს.

თუმცა, გაზზე პერმანენტულად მზარდ მოთხოვნას აზერბაიჯანი ვერც „იტერას“ მეშვეობით შევლის. ამის გამო ბაქოში მკაცრად აკრიტიკებენ გაზის კომუნალური სექტორის მესვეურებს და მათ უკანონო მომხმარებელთა ჩახსნას სთხოვენ. ამიტომაც „აზერბაიჯანი“, „თბილგაზის“ მსგავსად, იძულებულია მუდმივად ეძებოს გაზის საფასურის არგადამხდელი „განტყვევის ვაცები“ და მათთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით დაზოგოს ნებისმიერი ქვეყნისთვის ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტი. ერთ-ერთ ასეთ განტყვევის ვაცად ბაქომ ქალაქის გარეუბანში მომრავლებული სათბურები მიიჩნია, თუმცა ეს სათბურები იმდენად მცირე რაოდენობის გაზს ხარჯავენ, რომ ამან პრობლემას არ უშველა. შედეგად, „აზერბაიჯანი“ იძულებული გახდა, გაზის მიწოდება საწარმოებისათვის შეენწყვიტა და ამ გზით გაეზარდა გაზის წნევა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მასმედიის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. აზერბაიჯანში

საზოგადოება აღაშფოთა იმან, რომ ეს ლონისძიება „აზერბაიჯანის“ ეკონომიკურად გაუმართლებელი და, ამდენად, დროებითი იყო, ვინაიდან აზერბაიჯანში, საქართველოსგან განსხვავებით, საწარმოო სექტორი გაცილებით უკეთესი გადახდელია, ვიდრე კერძო.

„გაზის სფეროში არსებული ქაოსი კომუნალური მომსახურების სფეროში წესრიგის დამყარების ყველა მცდელობას უიმედოდ აბათილებს. თუკი აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკოსებს უკვე აღარ ეშინიათ განაცხადონ, რომ ქვეყანას შეუძლია, გამოიმუშაოს საჭირო რაოდენობის დენი, გაზის სექტორში კვლავ იმიზეზებენ ურჩი გადახდელელების პრობლემას. უბრალოდ, ტრაგიკომიკურია, როცა „აზერბაიჯანი“ პრეზიდენტი იმაზე ჩივის, სათბურების მეპატრონეები რომ ფულს არ იხდიან. ის ხომ თავადვე აცხადებს, რომ სათბურების მეპატრონეებთან შეუძლებელია მოლაპარაკება, რადგან არსებობს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება სასათბურო მეურნეობებისათვის გაზის მიწოდების აკრძალვის შესახებ,“ - წერს აზერბაიჯანული პრესა. დასკვნა, რომელიც აზერბაიჯანში გამოაქვთ გაზის სექტორში არსებულ კრიზისთან დაკავშირებით, ქართული ვარიანტის ანალოგიურია: მთავრობის მიერ შემუშავებული სათბობენერგეტიკული ბალანსი ქვეყნის მოთხოვნილების რეალური სურათიდან ერთობ შორსაა და „ის „გაზერეტილი კაპიცი“ არ ღირს“.

საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანის კომუნალური სფეროში გამოიცხველიანების პრობლემა უფრო მწვავედ დგას. ბაქოში უკვე დამონტაჟებულ გაზის 40 ათას მრიცხველს, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ტენდერის შედეგების დამტკიცების შემთხვევაში, კიდევ 60 ათასი დაემატება. თუმცა, ბაქოში არსებული 470 ათასი აბონენტის გამრიცხველიანება მაინც ვერ მოხერხდება, რადგან 470 ათას მომხმარებელს 100 ათასი მრიცხველი რომ არ ეყოფა, ეს მარტივი არითმეტიკიდანაც ჩანს.

იმის გამო, რომ ბაქოში გაზზე მრიცხველები არ დგას, მოსახლეობა მის საფასურს ოჯახში სულა-

დობისა და დამონტაჟებული გაზის ხელსაწყობების რაოდენობის მიხედვით იხდის. აზერბაიჯანული პრესა აზერბაიჯანელი ხალხისათვის შეურაცხყოფელს უწოდებს ამ საგადამხდელი მექანიზმს, და წუხს, რომ „ეს მექანიზმი ხალხს პირდაპირ მოუწოდებს გაზის საფასურის არგადამხდის, ან კონტროლიორთან გარიგებისათვის.“

ყოველივე ამის გამო, აზერბაიჯანში საზოგადოების გაღიზიანებას ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის არქონა იწვევს. „კომუნალური პრობლემების გადაჭრამდე ურიგო არ იქნებოდა, სახელმწიფოს რომ კომუნალურ სფეროში მრიცხველების წარმოებისა და დამონტაჟების სამუშაოების დაფინანსებისა და ორგანიზების სახელმწიფო პროგრამა შეემუშავებინა, - წერს „ბერკალი.აზ“, - რა შუაშია „აზერბაიჯანი“, როცა სახელმწიფო დაგეგმვა ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს, და თუ არსებობს, საშინელი შეცდომებით იგეგმება.“ მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მდიდარია ენერგომატარებლების საკუთარი რეზერვებით, როგორც ჩანს, საქართველოს არ იყოს, ენერგოსექტორი იქაც ჩაკეტილ წრეშია მოქცეული.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აზერბაიჯანული პრესა მკაცრად აკრიტიკებს საკუთარი მთავრობის მიდგომას სტრატეგიულ ტრანსკასპიურ პროექტებთან, მაგალითად, თურქმენეთის ნავთობის აზერბაიჯანის გავლით ტრანსპორტირების პროექტთან მიმართებაშიც. „ჩვენი ეკონომისტებს წინ თურქმენი კოლდგების წინაშე „შაჰდენის“ საბადოდან აზერბაიჯანული გაზის თურქეთში ტრანსპორტირების ქვოტის პირობები კი არ უნდა წამოენიათ, არამედ მათთან თურქმენული გაზის ქვეყნის შიდა საჭიროებისათვის მოსახმარად მიღებაზე უნდა ესაუბრათ, - წერს „ბერკალი.აზ“, - ქვეყანაში ხომ გაზი ცოტაა, 1999 წელს ხელმოწერილი თურქმენული გაზის ტრანსპორტირება თურქეთში კი 2002 წელს უნდა განხორციელდებოდა. თავის დროზე სწორად რომ დასმულიყო ეს საკითხი, თურქმენული გაზის გარკვეულ რაოდენობას უკვე ახლა მივიღებდით და ქვეყანაში გაზის დეფიციტი არ გვექნებოდა,“ - ასე აპროტესტებენ მთავრობის მოქმედებებს აზერბაიჯანში და შექმნილ ვითარებაში „უტვიწიო ეკონომისტებს“ ადანაშაულებენ.

იმის გამო, რომ აზერბაიჯანს გაზისა და ნავთობის საკუთარი რეზერვები გააჩნია, მისი გაზმომარაგების სექტორი, საქართველოსგან განსხვავებით, ასე თუ ისე თავისუფალია მიდამოლიტიკური გადაწყვეტილებებისგან. აზერბაიჯანის მთავრობა პასუხისმგებლობას არ გაუბრუნებს და საჭიროების შემთხვევაში „იტერასგან“ გაზის შესყიდვის საკითხს, როგორც წესი, სახელმწიფოებრივ დონეზე აგვარებს ხოლმე. ამდენად, აზერბაიჯანული პრესა ქვეყნის კომუნალურ სფეროში არსებულ პრობლემებს, ძირითადად, მთავრობის არაკომპეტენტურობას უკავშირებს. ამის გამო, ამ საკითხში აზერბაიჯანულ და ქართულ სინამდვილეს შორის ანალოგიების ძიება, უბრალოდ, უხერხული იქნებოდა.

რამ მიიყვანა მსოფლიო „ენრონებამდე“

თორნიკა გარაშენიძე

ალბათ, არცერთი თემა არ არის ისე აქტუალური, როგორც კორუფცია განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში. აქამდე კორუფციას ჩვეულებრივ საჯარო სექტორს უკავშირებდნენ ხოლმე და ხშირად სწორედ ეს გახლავთ პრივატიზაციის ერთ-ერთი, გამართლება (უპირველესად ისე განვითარებად ქვეყნებში). მაგრამ ახლა აშკარა ხდება, რომ კერძო სექტორის კომპანებმა ვერ გაითვალისწინეს კორუფციის ის უსაზღვრო შესაძლებლობანი, რომელსაც თურმე ასე წარმატებით დაუფლნენ კორპორაციათა თავკაცები და რისი უნარიც ასე უხვად იქნა დემონსტრირებული თანამედროვე კაპიტალიზმის მიერ.

აქამდე საზოგადოება აღმოფრთხილული იმდენად ცნობებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეჭამა ამა თუ იმ საჯარო მოხელემ რამდენიმე ათეული ათასი და რამდენიმე მილიონიც კი. მაგრამ „ენრონის“, „უორლდკომისა“ და სხვათა თავკაცების მიერ მითვისებულ თანხებთან შედარებით ეს მართლაც რომ სასაცილოა. ამ კომპანიებში ათეულობით მილიარდი დოლარი გაქრა – გაქრა თანხა, რომელიც ბევრი სახელმწიფოს მთლიან შიდა პროდუქტსაც კი აჭარბებს.

ამ მოვლენებმა მრავალ სპეციალისტს მოაგონა ერთი დარგი, რომელსაც ინფორმაციული ეკონომიკა ჰქვია. სრულყოფილი ინფორმაციის პირობებში – რის, არსებობაც აუცილებლად არის გათვალისწინებული ტრადიციულ ეკონომიკურ მოდელებში, მაგრამ რომელიც უფლებელყოფილია ხოლმე თავი უფალი ბაზრის ქომავალი მიერ – „ენრონისა“ და „უორლდკომის“ პრობლემები ხომ საერთოდ არ განხილვებოდა. აქციონერები მისივე მოიაზრებდნენ, რომ ზემოხსენებულ

ბულ კომპანიებში ფინანსური საბუთების გაყალბებას ჰქონდა ადგილი და მათი რეაგირება შესაბამისად აისახებოდა აქციის ფასზეც.

მაგრამ ინფორმაცია არასოდეს გახლავთ სრულყოფილი. საგადასახადო შეღავათებისა და შეუსაბამო საბუღალტრო პრაქტიკის გამოისობით კომპანიები თავიანთ თავკაცებს გასამრჯელოდ ხშირად აქციათ პაკეტს სთავაზობს ხოლმე. ასეთ პირობებში კომპანიის ხელმძღვანელის არჩევანი აშკარა – პროდუქციის ხარისხი თუ საბოლოო მოგება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც აქციის ფასი. თუ ეს უკანასკნელი მაღალია, მათ ჯიბეში არაფერი ემუქრება. ეს სისტემა მეტისმეტად კარგი იყო, რომ ხეირიანად ემუშავა. კორპორაციათა ბოსები მილიონებს იღებდნენ და გაურკვეველი იყო – ეს ვის და რის ხარჯზე ხდებოდა.

ეს მირაჟი გახლავთ, რომელიც შესაბამისად გასრულდა და ბოლოს ისიც ნათელი გახდა, თუ ვის ხარჯზე იღებდნენ კორპორაციათა ბოსები მილიონებს: ესენი რიგითი აქციონერები იყვნენ. უსამართლობა არა? დიახ, და უსამართლობაზე უარესიც, რადგან აქციათ პაკეტით დაჯილდოებული მენეჯერი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა აქციის ფასი დღეს მაქსიმალურად მაღალი იყოს, ხედავ კი ჭირსაც წაუღია. საბოლოოდ, შედეგად მივიღეთ არა მყარ მომავალზე ორიენტირებული კომპანიები, არამედ პეპლები, რომელთა სიღამაზემაც რამდენიმე დღით მოგვჭრა თვალა და რომლებმაც ძალიან მაღელვანუტყვევს სული.

ცხადია, კერძო სექტორში მენეჯერული სამუშაო ეფექტიანობის ასამაღლებლად შეღავათებს და სტიმულს საჭიროებს. ამიტომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მენეჯერთა კომპენსაციებმა ამერიკაში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ამ კომპენსაციებიდან კი სარე-



კორდო მარჯვენებლებზე სწორედ ის ნაწილი ავიდა, რომლებიც კომპანიათა ბოსებისათვის ნაბოძვარ აქციათა პაკეტებზე მოდიოდა. რამდენადაც მაღალი იყო ეს მარჯვენებლები, იმდენად უარესი იყო კომპანიათა გრძელვადიანი პერსპექტივა. მაგრამ მენეჯერებს ეს აშკარად არ ადარდებდათ.

თავისუფალი ბაზრის ქომავალი ამტკიცებენ, რომ სტიმულს დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც ძნელია არ დაეთანხმო. მაგრამ შეუსაბამო და უადგილო სტიმული ეკონომიკაში ღირებულ და მყარ ქონებას არანაირად არ ქმნის. მისი შედეგი მხოლოდ რესურსების არასწორი გადანაწილებაა, რის ერთ-ერთ მაგალითსაც ჩვენ ახლა კავშირგაბმულობის სექტორში ვაწყვედებით. იქ აქციათა ფასების არაბუნებრივად ზრდამ ინვესტიციების არაბუნებრივი ზრდა გამოიწვია.

ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ როცა ინფორმაცია არასრულყოფილია – არადა, იგი მუდამ არასრულყოფილია! – ადამიანი სტიმული უხილავი ხელი (რომლის მიხედ-

ვითაც ფასების სისტემამ თავად უნდა დაარეგულიროს ბაზარი და ეკონომიკა მომგებიანად უნდა ამუშაოს) ნაწილობრივ სწორედ რომ უხილავი ხდება, რადგან იგი საერთოდ ქრება. არასწორი შეღავათების პირობებში, იმ შეღავათების პირობებში, რომლებიც კორპორაციულ ამერიკაში არსებობდა, იქმნებოდა ღირებულებები და მყარი ქონების შექმნის მხოლოდ ილუზია და ეს ხდებოდა ღირებულები და მყარი ქონების ხარჯზე.

ინტერესების კონფლიქტთან გვაქვს საქმე აუდიტორული ფირმების მოღვაწეობასთან დაკავშირებითაც. ისინი უპირველესად კონსულტაციის და არა აუდიტორული სერვისის სანაბნელოდ იღებენ გასამრჯელოს. ამიტომ თავდაცვით დაინტერესებულნი არიან, რომ მათმა კლიენტებმა – კორპორაციებმა – „გარკვეული წესების ფარგლებში“ დიდი მოგება ნახონ, ან, უფრო თუ დავაზუსტებთ, შექმნან იმის შთაბეჭდილება, რომ ისინი დიდ მოგებას ნახულობენ.

დაახლოებით იგივე სიტუაციაა საინვესტიციო ბანკების შემთხვე-

ვაშიც. იქაური ანალიმიკოსები გასამრჯელოს კონსულტაციის სანაცვლოდ იღებენ. ისინი კლიენტებს ურჩევენ, რომელი კომპანიის აქციის შეძენა სჯობს და, როგორც ახლო წარსულის მაგალითებმა გვიჩვენა, ხშირად მეტად საეჭვო მომავლის კომპანიათა აქციებს ურჩევენ. არც ესაა გასაკვირი, მიუთმეტეს, თუკი ამ ბანკებს კომერციული განყოფილება გააჩნიათ, რომელთაც თავიანთი ინტერესები აქვთ ამა თუ იმ კორპორაციაში.

და ყოველივე ამის გამოსწორება მეტად რთულია. აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისია დიდ წინააღმდეგობას აწყობდა კერძო სექტორისაგან, რომელიც დაერჩია ამგვარ ყოფას და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ვითარება არ შეიცვალოს. ჯერჯერობით, ამ მცდელობას წარუმატებელი არ ეთქმის, მიუხედავად კანონმდებლობის გამკაცრებისა. ბევრი სპეციალისტი ეჭვს გამოთქვამს, რომ კერძო სექტორს კომისიაში ძლიერი ლობივ ჰყავს. ამის გამო ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს საჯარო სამსახურის ამა თუ იმ შეთავსებას კერძო ინტერესებთან. ეს გარკვეულ ზონას აყენებს საერთო საქმეს, რადგან ხშირად მეტად ნიჭიერი და კვალიფიციური ინდივიდები საზოგადო საქმის მიღმა რჩებიან. მაგრამ როგორც მწარე გამოცდილება გვიჩვენებს, ეს სამწუხარო აუცილებლობაა. არავინ უწყის, რა ინტერესები ამომრავებს ამა თუ იმ საქმეში ამა თუ იმ ინდივიდს, თუნდაც იგი უმნიშვნელო რეპუტაციით სარგებლობდეს.

ინტერესების კონფლიქტის ბოლომდე ამოძირკვა არასოდეს მოხერხდება. მაგრამ სახელმწიფო მაქსიმუმს უნდა აკეთებდეს, რათა ამ კონფლიქტების გავლენა საზოგადო კეთილდღეობაზე მინიმალური იყოს.

ბატონი ტოფიკის დიდი ბიზნესი

თორნიკა გარაშენიძე

ეს „კოკა“ აღარ არის და აღარც არასდროს იქნება, სანამ მის ბედს კვლავაც ტოფიკ მათლუთი განაგებს. ეს ტოფიკი ჩვენი მეზობელი ქვეყნის მოქალაქე არ გვეგონოთ. იგი ფრანგი ბიზნესმენია, რომელიც „მექა-კოლას“ უკან დგას. „მექა-კოლა“ კი ახალი უაღკოპოლო სასმელია, რომელმაც ბატონ მათლუთის ჩანაფიქრით ისეთივე პოპულარობა უნდა მოიპოვოს მუსლიმურ, ამერიკისადმი მტრულად განწყობილ სამყაროში, როგორი პოპულარულიც თავად „კოკა-კოლა“ დასავლეთში. „მექა“ მზისგან გათანჯვრული მუსლიმებისათვის საყვარელ გამაგრებელ სასმელად უნდა იქცეს და საბოლოოდ უნდა განდევნოს ისლამური ქვეყნებიდან „კოკა“, სადაც მას კვლავაც ეტანება.

„ჩემი მიზანი მარტივია. „მექა-კოლა“ ეს არის იარაღი აგრესიული ამერიკანიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ. იგი ამერიკული საქონლის ალტერნატივაა, იგი დიდ შეღავათს მისცემს იმ ქვეყნებს, რომლებიც ვამინგტონის მხრიდან ბლოკადაში იმყოფებიან ან რომელთაც ჰყოფნით გამბედაობა, რათა თავად გამოუცხადონ ბოიკოტი ამერიკულ საქონელს,“ – სიამაყით აცხადებს

მათლუთი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფრანგი ტოფიკის ეს წამოწყება დიდი ორიგინალობით ვერ დაიკვეხნის. „კოკას“ მუსლიმური ალტერნატივის შექმნა აქამდეც მოსვლიათ სხვებს თავში და განუხორციელებიათ კიდევაც ეს ჩანაფიქრი. ირანში კარგა ხანია არსებობს „ზამზამ კოლა“ (ასე იწოდება მექაში არსებული წმინდა წყარო), რომელიც დიდი ენთუზიაზმით მიიღეს საუდის არაბებისა და ბაჰრეინში.

„კოკა-კოლა“ ხელმძღვანელობამ მათლუთის განცხადებებს ასეთი კომენტარი გაუკეთა: ბატონმა ტოფიკმა ახლა უბრალოდ ფულის გაკეთება მოინდომა და ამ მხრივ, ალბათ, რაღაც წარმატებას მიაღწევს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, ვაცადოთ მომხმარებელს არჩევანის გაკეთება. მოკლედ, კომპანია შეიმდგებენ მიაინშა: ძალიან ეჭვი გვეპარება, რომ ამ მათლუთის ასე შესტიკოდეს გული მოსლიმანურ სამყაროზე. იგი ცივისსხლიანი ბიზნესმენია და ახლა ფულის შოვნის მანსი დაინახა.

მანსი კი მართლაც განჩნდა. ვამინგტონის მიერ ბოლო ხანებში ისრაელისადმი აღმოჩენილმა მხარდაჭერამ მუსლიმურ მასებში ანტი-ამერიკული განწყობა აშკარად გააღვივა და არაბულ სამყაროში აშშ-

ში წარმოებული ან იქაური მარკით გამოშვებული პროდუქციის ბოიკოტი სულ უფრო და უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს. ყველაზე უკეთ ამაზე ისევ სტატისტიკა ლაღობს: გასული წლის პირველ ნახევარში აშშ-ს ექსპორტის მოცულობა საუდის არაბეთში 40 პროცენტით დაეცა. ადვილი წარმოსადგენია რა დაცემასთან გვექნებოდა საქმე მეორე ნახევარში და რა დაცემასთან გვექნება საქმე ახლა.

„კოკა-კოლა“ აღიარებს, რომ ისევე როგორც სხვა ბიზნესები, მისი საქმიანობაც „ერთგვარად დაზარადა ამ ბოიკოტების გამო.“ თუმცა, დაზუსტებით კომპანია არაფერს ამბობს და იქვე უმატებს, ჩვენ არანაირ რელიგიურ თუ ეთნიკურ კონფლიქტებში არ ვერევი და პოლიტიკისაგან შორს ვდგავართო.

სანამ „კოკა“ თავს იმართლებს, „მექას“ გაყიდვები არნახულ მაჩვენებლებს აღწევს. „აღარ დალოთ სულელურად, დალიეთ ერთსულელებით.“ ამ წარწერამ, რომელიც „მექას“ ბოთლს ამშვენებს, მართლაც რომ გამოძახილი ჰპოვა მრავალი მუსლიმის (და, იქნებ, არა მხოლოდ მუსლიმის) გულში. ნუ იფიქრებთ, რომ ეს სიახლედ მხოლოდ ისლამურ ქვეყნებში იყიდება. არა, ის კი არა და იქ, ჯერჯერობით, საერთოდ არ იყიდება. მისმა წარმოებამ საფრანგეთში აიღო სტარტი სულ რაღაც

ორი თვის წინ და იგი უკვე ექსპორტირებულია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ბელგია, იტალია და ესპანეთი. მათლუთი ირწმუნება, რომ ამ სიას მალე შევადეთ და დანიაც შეუერთდებიან. ერთ თვეში კი აღსრულდება ის რაც უნდა აღსრულდეს – „მექა“ ახლო აღმოსავლეთში გავადა..

რა მოხდება იქ, შეგვიძლია იოლად წარმოვიდგინოთ. მათლუთის თქმით, მან უკვე ორი მილიონი ბოთლი გაყიდა (არადა, თითო 1,5 ლიტრის შეიცავს) და შეკვეთებს ხომ საერთოდ ვერ აუღის. „უკვე მიღებულია შეკვეთა 16 მილიონ ბოთლზე, ჩვენი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი კი ინგლისია, სადაც მალე თვეში ორ მილიონ ბოთლზე ავალოთ,“ – იუნყება ბატონი ტოფიკი.

პირველად „მექას“ მცირერიცხოვან მუსულმანურ უბნებში ეტანებოდნენ, მაგრამ ახლა ეს სასმელი საფრანგეთის თუ გერმანიის წამყვან სუპერმარკეტებში ძვეს. მათლუთი მეტად გამჭრიახი ბიზნესმენი აღმოჩნდა, რომელსაც არა მხოლოდ რელიგიურ გრძობებზე შეუძლია თამაში. მომხმარებელს ისიც იზიდავს, რომ „მექადან“ მიღებული მოგების 10 პროცენტი პალესტინის ტერიტორიაზე მოქმედ საქველმოქმედო ორგანიზაციებს ერიცხება, 10 პროცენტი კი – ევროპულ არასამთავრობო ორგანიზა-

ციებს. ცხადია, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან კავშირი გარკვეულ ეჭვებს ბადებს – მათი მეშვეობით ხომ ტერორისტთა ფონდები ინიბება – მაგრამ მათლუთი ამის საპასუხოდ აცხადებს, რომ დახმარება ნაღდი ფულის სახით არასოდეს მიდის და ამიტომ, ამ მხრივ, საგანგაშო არაფერია და მასაც ვერავინ დასწამებს ალ-ქაიდასთან და მის მავარებთან კავშირს. „ჩვენ ვყიდულობთ ტანისამოსს და საკვებს, ან მშენებლობათა ხარჯებს ვფარავთ,“ – ამბობს ბატონი ტოფიკი, – თუკი ნაღდი ფული ვიძლევი, მას მხოლოდ იუნისიფს ვაძლევთ. ევროპული არასამთავრო ორგანიზაციებიდან კი დახმარებას ისინი იღებენ, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის საქმეს ემსახურებიან.“

ბატონ მათლუთის დიდად არ ადევლებს ის ამბავი, რომ მისი სასმელის ლოგო „ნუ დალევთ სულელურად“ შესაძლოა, კიდევ უფრო გაავლივოს ანტიამერიკული განწყობები. „ეს ჩემი პრობლემა არ გახლავთ, ამაზე აშშ-ს ადმინისტრაციამ იმტვიროს თავი. თუკი მათ სურთ, რომ ანტიამერიკული განწყობები შენეიდეს, თავიანთი პოლიტიკა უნდა შეცვალონ და ორმაგი სტანდარტებით აღარ უნდა მიუდგნენ ადამიანის უფლებათა საკითხებს,“ – აცხადებს ბატონი ტოფიკი.

უსვითი კაპიტალი

თორნიკე მარაშენიძე

რა არის კაპიტალი? საბჭოთა ხანაში პოლიტიკონომიის ლექსონები ამ ცნებას შემდეგნაირად განმარტავდნენ: როცა მუშა თავის სამუშაოს შეასრულებს, იგი თავისი დამქირავებელი ბურჟუასაგან იღებს ანაზღაურებას, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მის სამუშაოს. მუშის კუთვნილი თანხის დარჩენილ ნაწილს, რომელსაც ანაზღაურება არ ფარავს და რომელიც ბურჟუას რჩება, კაპიტალი ეწოდება.

ამ განმარტებაშიც არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ამჟამად კაპიტალს ყველაფერს უწოდებენ, რასაც შეუძლია მოგება მოიტანოს. ამიტომ შეგვიძლია ახალი, უფრო მარტივი და ყოვლისმომცველი განმარტება შემოვიღოთ - კაპიტალი ეს არის ქონება. ეს უკანასკნელი კი კარგი რამაა, ერთი რამ რომ არ სჩვეოდეს - ყველანაირი ქონება დროთა განმავლობაში ცვდება, ძველდება და საბოლოოდ უვარგისი ხდება მოხმარებისა და მოგების ამოღებისათვის. ასე ემართება შენობას, დაზვას, მანქანას...

მაგრამ არსებობს კაპიტალის ერთი სახეობა, რომელიც არ ცვდება და, შესაბამისად, არც იაფდება. იაფდება კი არა და ლამის დღითიდღე ძვირდება ხოლმე. ეს კაპიტალი ხელოვნების ნიმუში გახლავთ. ყოველი თავმოყვარე ბურჟუა, როცა მუშებს კუთვნილ ხელფასებს დაურიგებს, დარჩენილი თანხით (ანუ პოლიტიკონომიის ლექსონების განმარტებით, კაპიტალით) აუცილებლად აუქციონზე გაემართება, რათა ხელში ჩაიგდოს რომელიმე შედეგრი და იმით თავისი კაპიტალი დაამშვენოს. ცხადია, ბურჟუას არ აინტერესებს ის ამბავი, რომ შედეგის ავტორს თავის დროზე ლუკმა-პური ენატრებოდა და ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ მის ნახატს სისხლისმწოველი კაპიტალისტი იყიდდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ. სისხლისმწოველისათვის მთავარია, რომ ფული ყაირათიანად დააბანდა. ისე, რომ არანაირი ინფლაცია არ აშინებს და ახლა მისი კომპანია რომ გაკოტრდეს, კაპიტალში ისეთი რამ უკიდია, მთელი ცხოვრება არჩენს.

ვერ წარმოიდგენთ, თურმე, რამდენი ძვირფასი ნახატი დაიღუპა 11 სექტემბერს. წარმოიდგინეთ რა მოფენილი იქნებოდა შედეგებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მიხვდებით, რომ ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, იმ დღეს ხელოვნებაც დაზარალდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ისევ სადაზღვევო კომპანიები დაზარალდნენ, რადგან, ცხადია, ყოველი შედეგრი ყიდვისთანავე დაზღვეულია. აბა, მილიონის მოპარვის მსურველებს რა დალევს ამ ქვეყნად?

ასე რომ, სანამ ბიზნესი ხარობს (რაც ღმერთმა ნუ მოგვიშალს) და სანამ უცვეთი შენობები და დაზვები არ მოუგონიათ (ფიზიკას თუ ვენდობით, ეს არც მოხდება) ხელოვნების ნიმუშები საუკეთესო კაპიტალია და ცნობილ სააუქციონო სახლებს „სოთბისა“ თუ „კრისტის“ მუშტრები არ მოაკლდება. ამ ორიდან რეკორდი, ჯერჯერობით, კრისტის ეკუთვნის. ამ აუქციონზე 1990 წელს 82,5 მილიონ დოლარად გაიყიდა ვან გოგის „ექიმ გამეს პორტრეტი“, რაც ჯერჯერობით განუმეორებელი მიღწევაა. იმავე წელს სოთბიმ 78,1



ვან გოგის „ექიმ გამეს პორტრეტი“ კრისტის აუქციონზე 82,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

მილიონ დოლარად „გაასალა“ რენუ-არის „მულენ დე ლა გალეტ“, შარშან კი იგივე სოთბიზე რუბენსის „უმანკოთა ჟლეტა“ 76,7 მილიონ დოლარად გაიყიდა. ასეთი გახლავთ რეკორდების სამეფო. საერთოდ კი რეკორდები ცხადია, ნახატებს ეკუთვნით. სხვა სახეობის ხელოვნების ნიმუშები კი მათ გვარიანად ჩამორჩება. მაგალითად, ახლახან სულ რაღაც 13500 გირვანქა გაიმეტეს „პარი პოტერისა და ფილოსოფიური

ქვის“ პირველ გამოცემაში, რომელიც სულ 300 ცალი დაბეჭდილია. მაგრამ რას იზამ, 300 უკვე დიდი რიცხვია, აი „უმანკოთა ჟლეტა“ კი სულ ერთია. და საერთოდ, ეს ნიგნი ამდენადაც არ გაიყიდებოდა, პოლივუდს მის მიხედვით ფილმი რომ არ გადაეღო და მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ბავშვები ჭკუიდან არ გადაეყვანა. 13500 გირვანქა ნიგნისათვის არც ისე ურიგო გარიგებაა. ნიგნების რეკორდი ხომ სულ რაღაც

40 ათასია. ამდენად გაიყიდა ჯენოსტინის „სიამაყისა და ცრურწმენის“ პირველი გამოცემა. ეგ იმიტომ რომ ეს გამოცემაც ერთადერთი ხომ არაა, იქაც დანარჩენი 299 იარსებებს და... ერთადერთობის გარდა, სიძველესაც აქვს მნიშვნელობა. აგერ პოლ მაკარტნის ცნობილი სიმღერის („ბოთლზის“ დროინდელის) „პენი ლენის“ ხელნაწერმა სულ რაღაც 1350 გირვანქა მოიტანა. უსამართლობაა, იტყვიო. მაგრამ დღე-

ვანდელ დღეს ეკონომიკურ სამართალს თავისუფალი ბაზარი ანებს. ეს უკანასკნელი კი ნიგნებზე მეტად საფეხბურთო მაისურებს სწყალობს. დიახ, მაისური რომელიც ინგლისის ნაკრების კაპიტანს, ბონი მურს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ემოსა, 100 ათას გირვანქად გაიყიდა. ამის შემდეგ ზოგიერთს ეჭვი შეეპარება იმაში, რომ ფეხბურთი ხელოვნების ერთ-ერთი დარგია.